

# ქართული ეკონომიკური განვითარების მუნიციპალიტეტები

1947

N 10

140 / 9  
1947





## క.గ.ఉ.బ.గ్రంథ

କୁରାଖିତବଳୀରେ ଏହାର ପରିମାଣ ଅଧିକ ହେଉଥିଲା  
କିନ୍ତୁ କାହାର କାହାର କାହାର କାହାର

## ПИОНЕРИ

**Ежемесячный детский журнал  
Центрального Комитета  
ЛКСМ Грузии**  
(на грузинском языке)

ମୁଦ୍ରଣ ମଧ୍ୟ କାଳୀ

გამომცემლობა „კომუნისტი“

ନ୍ୟୂଡ଼ାଙ୍ଗପ୍ରୋବ ମିଶନ୍ସମାଜରେ;  
ଅଧୀକ୍ଷଣିକା ଲ୍ୟାନ୍ଡିନ୍ସ ପ୍ଲ., ନଂ ୨୮,  
ଫ୍ରେଣ୍ଟଫାର୍ମ ନଂ ୩-୮୧-୮୫

၁၇၈၃: နိုင်မြန်မာဒေသရှိ ပြည်တော်လူများ  
၁၇၈၄: အောက်ပါတော်လူများ ၂၀၁၀။ ၁၁  
၁၇၈၅: အောက်ပါတော်လူများ ၂၀၁၀။ ၁၁  
၁၇၈၆: အောက်ပါတော်လူများ ၂၀၁၀။ ၁၁

„ପ୍ରେସିବ୍ ପ୍ର୍ଯୁମନିସିଂହ“ XVII ଶାସ୍ତ୍ରଗଣ୍ଡିଲ୍ କ୍ଷେତ୍ରରେ-  
ରିକି ପିଲାନ୍ତରପ୍ରାଣଦିନ ହିମିତିରେ,  
୧. ପରିଷଦ୍ ପାଇଁ ଲୋକିଟିକ୍ ଏବଂ ପାଇଁ ପାଇଁ

შაირობა პირების დღი სიბრძნისა ერთი დაწევი,  
საომრთო საომრთო გასაცონი, მსმენერთათვის ღირა მაჩვი,  
კულა აქაცა იამბის, გინცა ისმენს ჯაცი გაჩვი  
და გრძელი ხევყვა მოკლე ითემის, შაირია ამა კაჩვი.

三二七

# ხ ე ლ ი

შენს გარდას რომ დაუკუნიდა,  
 მყოლო, სულ არ მოძეწონა  
 ეს რა არის? როგორია სწერ?  
 ჩსთა თუ ფრჩხის კონა?

„ა“ „ე“ ნსა ჰგავს, „ზანი“  
 „რი“ ს არ ჰხეუდავს თავს ხელური  
 თოთქოს უკემს გადაუცლოს,  
 მჭერე არის და უსახური.

ზოგი ჩსთ უთოსა ჰგავს,  
 ზოგი კიდევ ჩიტის ბუდეს,  
 და მოყიდვილი სტრიქონები -  
 ძკელი სახლის პილატუდების.

ო, ჩვენს ქართულ ხელონაწერებს,  
 რა სჯობია, ამა, მითხარ?  
 წავრთხევაც რომ არ განდოდეს,  
 დაგაწაფებს წავაკითხად.

ამიტომაც, კიდერე, შვილო,  
 მოსწავლე ზარ, ჩალეგაზრდა  
 უნდა ლამაზ წერით შესძლო  
 შეჯიბრება ლამაზ ასრთან.

უნდა წერის დაუუფლო  
 ურბილებს და ულამაზებს,  
 უნდა ბევრი იმუშაო  
 ქართულ ხელის ჩუქურობიშვი.

*Dr. R. G. Gogebashvili*

# პიონერული რგოლის მუშაობა



3

იონერულ თრგანიზაციაში პიონერული რგოლი ყველაზე პატარა კოლექტივია. მის მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული, თუ რა შინაარსიანად და მრავალფეროვნად იქნება მოწყობილი პიონერთა ყოველდღიური ცხოვრება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რგოლი სწავლის რაზმისა და რაზმეულის მუშაობის წარმატებას.

იმ რაზმში, სადაც კარგადა დაყენებული რგოლების მუშაობა, კარგად მიმღინარეობს რაზმის მთელი მუშაობაც.

საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1947 წლის 13 მარტის დადგენილებაში „პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ ძირითადად განსაზღვრა პიონერთა რგოლის საქმიანობა.

რგოლებში, უნდა ხორციელდებოდეს „პიონერების ძალონის შესაბამისი საზოგადოებრივი მუშაობა, მოწყობის ექსკურსიები და ლაშქრობანი მშობლიური ადგილების გასაცნობად, ჩატარდეს წიგნების, საბავშვო და საყმაწვილო უურნალ-გაზეთების ხმამაღალი კითხვა და წაკითხულის განხილვა, მოწყობის სპორტული შეჯიბრებანი“. ამავე დადგენილებით რეკომენდებულია, რომ უმცროსი კლასების პიონერებისათვის რგოლებში იმართებოდეს საბავშვო თამაშობანი.

ყოველივე ამ მუშაობას რგოლი ერთსა და იმავე ღროს, ცხადია, ვერ გასწევს, ამიტომ საჭიროა რგოლი მუშაობდეს გარევეული გეგმით, რომელიც, როგორც წესი, შედგენილი უნდა იყოს ერთი თვეს ვადით. მაგალითად, რგოლის სამუშაო გეგმა შეიძლება შევადგინოთ ასეთი სახის: —ქ. თბილისის სტალინის რაიონის შე-3 პიონერთა რაზმეულის მე-3 რაზმის 1 რგოლის სამუშაო გეგმა (1 დეკემბრიდან 1 იანვრამდე).

2 დეკემბერი. რგოლის შექრება. მოვისმენთ მასწავლებელ ნინო წულუკიძის საუბარს „რა მისცა სტალინურმა კონსტიტუციაში საბჭოთა ხალხს“.

პასუხისმგებელი—შედეა თოდრია.

4 დეკემბერი. სტალინური კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი შექრებისათვის ჩვენი რგოლი დამზადებს ალბომს „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა“.

პასუხისმგებელი—ლიანა ცემოტიშვილი და ლამარა ბალათურია.

10 დეკემბერი. დავესწრებით ახალ კინოსურათს.

პასუხისმგებელი—ლიანა თევზაძე.

კოჯორის საბავშვო სახლის აღსაზრდელებისათვის დაგამზადებთ ნაშიერის გასაფორმებლად სათამაშობებს.

პასუხისმგებელი—ნინო ერისთავი და ნუნუ დავალი.

15 დეკემბერი. რგოლის შექრება. მოვისმენთ რგოლის წევრების შთაბეჭდილებას 15 წლის 15 დეკემბრამდე წაკითხულ მხატვრულ ნაწარმოებთა გამო.

პასუხისმგებელი—ციალა კოკაია და ინგა დავითაშვილი.

20 დეკემბერი. რგოლის შექრება. მოვისმენთ რაზმის ხელმძღვანელის საუბარს „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“.

პასუხისმგებელი—ნაისი თავაძე.

25 დეკემბერი. რგოლის შექრება. მოვისმენთ რგოლის წევრთა შორის შეჯიბრებას სირბილში 100 მეტრზე და სივრცეზე ხტომაში.

პასუხისმგებელი—ლილი კობახიძე და მერი დავალი.

28 დეკემბერი. დავამთავრებთ საბავშვო სახლის აღსაზრდელებისათვის საჩუქრების დამზადებას და გადაცემთ მათ.

პასუხისმგებელი—მერი თოდრია, ნინო ერისთავი და ნუნუ დავითაძე.

30 დეკემბერი. რგოლის შექრება. შევაჯახებთ რგოლის წევრების სასაზღვრო წლის პირველი ნახევრის აკადემიური წარმატების ნიშნებს და შევადგენთ რგოლის საზამთრო არდადევების მუშაობის გეგმას.

რგოლის ხელმძღვანელი—მ. თოდრია,

რგოლის მუშაობის გეგმა, რომელსაც ადგენს რგოლის ხელმძღვანელი თავის რგოლის წევრებთან ერთად მასწავლებლისა და პიონერებლის და პიონერებით, უნდა გამოხატავდეს თვით რგოლის წევრთა მისწრავებასა და ინტერესებს. მოფიქრებულად შედგენილი გეგმის ზუსტად განხორციელებით რგოლის ხელმძღვანელი პიონერებლის მდგრად განხორციელებით ერთად მიაღწევს იმას, რომ პიონერებში ყოველდღიურად გამომუშავდეს საბჭოთა მოქალაქის ყველა სასახლო თვისება.

პიონერული რგოლი მუშაობს სისტემატურად, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პიონერები იკრიბებოდნენ ყოველდღიურად და საათობით არჩევდნენ რომელიმე საკითხს. ასევე რგოლის შეკრება არ ნიშნავს იმას, რომ პიონერები იკრიბებოდნენ მაინცდამაინც სკოლის შენობაში.

პიონერთა რგოლიც შეკრება შეიძლება იყოს თავისი ფორმითა და შინაარსით სულ სხვადასხვავარი. რა საქმიანობისთვისაც უნდა შეიკრიბოს რგოლი, ეს იქნება რგოლის შეკრება. მაგალითად, რგოლი შეიკრიბა მხატვრული ნაწარმოების წასაკითხავად, ან შეიკრიბა ფიზკულტურული თამაშობის შესასწავლად, ან ქ. თბილისის ისტორიული აღგილების დათვალიერების მიზნით და ა. შ. ყველა ეს შეკრება რგოლის შეკრება იქნება. თუმცა ეს იმას არ ჩიშნავს, რომ პიონერული რგოლი არ იკრიბებოდეს სპეციალური განრიგით რომელიმე გარკვეული საკითხის განსახილევლად. მაგალითად, დიდი ოქტომბრის ზეიმთან დაკავშირებით ბავშვები შეიკრიბებან თავის რგოლის საზეიმო შეკრებაზე, სადაც მოისმენენ მასწავლებლის ან პიონერებლმძღვანელის საუბარს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლის შესახებ“. აღნიშნული შეკრებისათვის რგოლის ყველა წევრი განსაკუთრებით ემზადება. აკეთებს აღმომებს, სწავლობს ახალ ლექსს ან სიმღერას. ემზადება ამ დღისადმი მიძღვნილი სპორტული შეჯიბრებისათვის და სხვა. რგოლის შეკრება ზოგჯერ რაზმის შეკრების სამზადისია.

რგოლის მუშაობაზე დამოკიდებულია არა მარტო ის, თუ რა საინტერესოდ იქნება წარმართული რაზმში პიონერთა ცხოვრება, არამედ რგოლის მუშაობაზე დამოკიდებულია ისიც, თუ როგორ იქნება გაშლილი რაზმში მაღალი აკადემიური წარმატებისათვის ბრძოლა, როგორ იქნება დაყენებული რაზმში დისკიპლინა, როგორი შრომისმოყვარე პიონერი ეყოლება რაზმს და სხვა.

მაღალი აკადემიური სწავლისათვის ბრძოლა რგოლებიდან უნდა დაიწყოს, რადგან აქ გაერთიანებულ 8-10 პიონერში უფრო დაცილად შეიძლება გამოიირკვეს, თუ რა უშლის ხელს იმ პიონერს, რომელიც სწავლაში ჩამორჩება. რგოლის წევრებს ყველაზე აღრე შეუძლიათ დაეხმარონ სწავლაში ჩამორჩენილ პიონერს, მოახდინონ მასზე ზეგავლენა და თუ ყველა რგოლი მიაღწევს იმას, რომ მისი 8-10 პიონერი კარგად სწავლობდეს, მაშინ რაზმი მოიპოვებს საკუთრესო აკადემიურ წარმატებას.

რგოლში ბავშვები უნდა მიეჩინონ შრომას, მათ უნდა შეეძლოთ ჩაქუჩის, ნაჯახის, ხერხის, ნებსის, საკერავი მანქანის და სხვათა გამოყენება. მათ უნდა შეეძლოთ ფეხმოტეხილი სკამის შეკეთება, გადამწვარი ელექტროგაუკანილობის აღდევნა, გახეული კაბის დაკერება და ა. შ.

კარგი იქნება თუ რგოლი მასწავლებლებისა და მშობლების დახმარებით ხშირად მოაწყობს სასწავლო შრომითი ხსიათის შეკრებას. რგოლის ყოველდღიურ მუშაობაში საქმაო დიდი ადგილი უნდა დაიკავოს ფიზკულტურულმა მუშაობამ, რისოვისაც რგოლის ხელმძღვანელმა უპირველეს ყოვლისა უნდა მიაღწიოს იმას, რომ ყველა მისი პიონერი, როგორც წესი, ატარებდეს დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. რგოლში საჭიროა მოეწყოს რგოლის პირველობაზე შეჯიბრება სირბილში, ხტომაში, ჭაღრაკში, შაშში და სხვ. რგოლმა ყველა პიონერი უნდა მიაჩვიოს მწყობრში სიარულს ადგილმდებარეობაზე ორიენტირებას და სხვა.

ყოველ რგოლს უნდა ჰქონდეს თავისი დღიური, საღაც პიონერები ჩას-  
ტერენ თავის ერთთვიან სამუშაო გეგმას, თავის განცდებს და შენიშვნებს  
რგოლის შეკრების შესახებ, მოათავსებდნ ფოტოსურადებს, საკუთარ ნახატებს  
ლექსებს, ნახული კინოსურათებით მიღებულ შთაბეჭდილებას და სხვ.

რგოლი და მისი ხელმძღვანელი მხოლოდ მაშინ შესძლებენ მუშაობის  
კარგად მოწყობას, როდესაც ისინი თავისი ყოველდღიური მუშაობით მჭიდ-  
როდ იქნებიან დაკავშირებული რაზმის ხელმძღვანელთან და კლასის დამრი-  
გებელ მასწავლებელთან. ხოლო რაზმის ხელმძღვანელი და კლასის დამრიგე-  
ბელი თავის მხრივ მოვალენი არიან ყოველგვარი დაბმარება აღმოუჩინონ  
რგოლის ხელმძღვანელს ყოველდღიურ მუშაობაში.

### ოთხი ნებაძე

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მოსწავ-  
ლე ახალგაზრდობისა და პიონერთა განაც. გამგის მო-  
ადგილე.



### რ თ ვ ე ლ ი

რა უხვი შემოღვომაა,  
რთველი დამდგარა, რა რთველი!  
ვაზის ფოთლებში ელვარებს  
ყურძნის სიმწიფის ნათელი.

ზვარში ჩამდგარან ღიმილით  
ხელსწრაფი კოლმეურნენი, —  
შარაზე მიჭრიალებენ  
გოდრებიანი ურმები.

ყურძნის მტევნებით ავსებენ  
ცაცხვის ვეება საწნახელს;  
შიგ ჩადგნენ კოხტა ბიჭები,  
ლალი სიმღერა დასძახეს.

ღარში აჩქეფდა მაჭარი.  
გამხიარულ დნენ ქვევრები;  
ეზოში მზეზე გაფინეს  
ჩურჩელა-ტკბილი კვერები.

რა ტკბილი შემოღვომაა,  
რთველი დამდგარა, რა რთველი!..  
უხვ, ბარაქიან მოსავალს  
იღებს პურადი ქართველი.

ზერაბ ჭუმბარიძე



# ၁၃၀၄၆၁၂

ජයග්‍රහණ

უჯარმოელ ყმაწვილებს ის დღე მთელ  
სიცოცხლეში არ დავიტყვდებათ. ერთი პვი-  
რა ნიადაგ წვიმდა. სოფელში ტალახი იდგა.  
მინდოორში სამუშაოდ გასცელა არ შეიძლებო-  
და. იმ დღეს, ხასადილებს გამოიდარა. საი-  
დანლაც დაპბერა ქარჩა, წამოხვეტა ღრუბ-  
ლები და შორს გაიტაცა. ახლა თაბეტის,  
უჯარმოს და გომბორის თხემებზე ღრუბ-  
ლის ერთი ნაფლეთიც აღარ ჩანდა. მზემ  
დახედა მიწას და მინდვრებს. გააშრო გზები,  
გაათბო მცენარე. საამურად აშრიალდნენ  
ახლად ფოთოლგაშლილი ტყეები. ნათესებში  
მწვანე ზღვასავით დელავდა ჯეჯილი. მდი-  
ნარე იორი კა, სოფელს რომ ბაღებისა და  
ბოსტნების ბოლოს ჩაუდის, მლერიე და  
გულმოსული მოერეკებოდა მთებში განად-  
ხობ თოვლის და ყინულის წყალს. მკვირც-  
ხლი ბიჭუნა გოგია სუხიშვილი თავისი მერ-  
ეეკლასელ მეგობრებთან ერთად უჯარმოს  
კოპერატივის წინ იდგა. ყმაწვილები რა-  
ღაც საინტერესო წიგნს ფურცლავდნენ და  
თას საქმიანად მსჯელობდნენ, თუ როგორ  
შეხვედროდნენ მერვე კლასიდან მეცხრეში  
გადასასვლელ გამოცდებს.

ბიჭუნები ასეთი საუბრით იყვნენ გართული, რომ მცხროვანის მძრიდან, გზატკეცილით, ფლობების თქარათქური მოესმათ. ცხენოსნები მოიჩარიდნენ. ყამწვილები წამით შეჩერდნენ. ამ დროს სოფსაბჭოს წინ, მოედანზე გაითღიანებული ბედაურებით შემოიჭრნენ სოფლის საბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარები. ისინი სამგორის კელზე იყვნენ წასული, სადაც კოლმეურნები ყამირებს ხნავდნენ. დაღლილი იყვნენ და ძალზე აფუსფუსებულნი. ყველაფრიდან ჩანდა, რომ რაღაც გადაუდებელ საქმეს მოეყანათ.

— უცხო ხომ არავინ მოსულა სოფელში?  
— იკითხა სოფსაბჭოს თავმჯდომარებ და  
სოფსაბჭოში შევიდა. იქ ტელეფონი დაუი-  
ნებით რეკლა. სოფსაბჭოს თავმჯდომა-  
რეს ფეხდათე შეკყვა თან კოლმეურნეობის  
თავმჯდომარე და, რაღა თქმა უნდა, ცნო-  
ბისმოყვარე გოგიაჯ თავისი მეგობრებით.



ყველა გრძნობდა, რაღაც დიდი ამბავი  
ხდებოდა უჯარმოში. ეს ეჭვი სოფელის  
თავმჯდომარის კითხვამ—უცხო ხომ არავინ  
მისულა, დაადასტურა და ტელეფონით  
მისმა ლაპარაკება კი, როგორც ქარჩა ცეც-  
ხლი, — გააღვივა.

— မაშ წამოვიდნენ და ჩქარა აქ იქნებიან?!

— ეკითხებოდა თბილისში ვილაცას ტელეფონ  
ნით სოფსაბჭოს თავმჯდომარე, — ცხადია,  
დავჭვდებით, ეგეთი სტუმრები რამდენიც  
გნებავთ გამოგზავნეთ... დიახ, დარღი ნუ  
გაქვთ, ისე მოვუკლით, როგორც საყუთარ  
იავს. — და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს  
მიუბრუნდა.

— ამიასაც მოვეუსწარი, იწყებინ.

— ნამდვილად?

— ნამდვილად. აგერ მოდიან კიდევაც. —  
სოქვა სოფუსაბჭოს თავმჯდომარებ, მაგრამ  
რას მოესწრო საფუსაბჭოს თავმჯდომარე,  
ვინ მოდიოდნენ, გარშემო მყოფთ არ ესმო-  
დათ.

გოგია ლელავდა, გონება ერეოდა.

რა ხდება უჯარმოში ისეთი, რაც მქს, გოგიას არ გაუგია? გოგიამ ისიც კი იცის, რომ მაისის დამლევს, განათლების სამინისტროდან მოსული ინსპექტორი დაესწრება გამოცდებს მათ სკოლაში. ეს ამბავი გოგიას მათებატიკის მასწავლებელმა გაანდო, ხოლო სკოლის საქმეთა შმართველმა და დარაჯმა დაუდასტურეს.

აბა, ახლა, ეს, ისეთი რა ხდება, რაც გოგიამ არ იცის და ვერც მიმხვდარა!

უჯარმოში ბევრი სტუმარი მოსულა დიდი და პატარა, მაგრამ სოფსაბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარები ასე არ აღელვებულან, როგორც ახლა ამ უცნობ სტუმართა მოსვლის მოლოდინში ღელავდნენ. მერედა რა დაუძახა სოფსაბჭოს თავმჯდომარეზ ტელეფონით ქალაქში? „ჩვენი თავივით მოვუწითოთ.“

გაოცებული გოგია ღელავდა რაღაც ამბავის მოლოდინში. აგერ მეტყველ მოვიდა ცხენით და დაქვეითდა თუ არა, უმაღვერცითხა:

— მოვიდნენ?

სოფსაბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარები მეტყველ გამოეეგებნენ. ჯერ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ მისთვის, სკოლის დირექტორიც მოემატათ.

— არ მოსულან? — იყითხა სკოლის დირექტორმაც და სკამზე ჩამოჯდა.

„ნეტავ ვინ უნდა მოვიდეს?“ კვლავ გაიფიქრა გოგიამ და გომურის თავზე ავიდა. მუხ-

როგანის მხრიდან, გზატევეცილი რომ დამართით უჯარმოსაცენ ეშვება, მანქანის ხმაური დატეირა მისმა მახვილმა სტენამ. თვალიც მოჰკრა. მანქანები ხევის სიორმედან ამრვიდნენ, მთაზე გადმოიქროლეს და სკოლის შენობას მოეფარენენ.

ორი ქრიიალა მანქანა იყო.


— მოდიან! — დაიძახა გახარებულმა გოგიამ და თავი ამაყად დაიჭირა: უცხოები, რომელსაც ასე მოუთმენლად შეელოდა სოფსაბჭოს თავმჯდომარე, პირველად მან დაინახა. ხალხი კაელის ჩრდილში შეგროვდა გზის პირად. წინ კოლმეურნეობის და სოფსაბჭოს თავმჯდომარები იდგნენ.

მალე, გორაკის ძირას მოსახვევში ორი მანქანა გამოიჩნდა. მოსრიალდნენ, სოფსაბჭოს წინ გაჩერდნენ.

გოგია პირველ მანქანს მივარდა. გადმოსულ უცხოს, თითქოს სათქმელის კითხვას მიუხვდა, უთხრა:

— საბჭო აქა, აგერ სოფსაბჭოს თავმჯდომარეც.

უცხოს გაელიმა და მიხვედრილ ყმაწვილს ხელი ჩამოართვა. შემდეგ შემოგებებულ სოფსაბჭოს თავმჯდომარეს, სკოლის დირექტორს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და მეტყველ ჩამოართვა ხელი სათითაოდ. ამასობაში მანქანებიდან სხვებიც გადმოვიდნენ. მალე უკელანი საბჭოს შენობაში შევიდნენ. ოთახი გაიჭედა. აქ იყენებნ კოლმეურნეებიც. ბავშვიანი ქალებიც კი მოსულიყვნენ. აივნ-



ზეც იდგნენ, ეზოშიც და მა-  
ინც არ ეტიქე. უცხომ, რო-  
გორც შემდეგ გამოირკვა,  
მთავარმა ინჟინერმა, საუბა-  
რი გაუმართა კოლმეურნებს.

— ჩვენ სამგორის მშენე-  
ბელი ინჟინერები ვართ, —  
სთქვა მან. — კომუნისტურმა  
პარტიამ შეასრულა თქვენი  
და მთელი ჩვენი ხალხის სურ-  
ვილი. შეოთხე ხუთწლედის  
გეგმით დასახა სამგორის დი-  
დი არხის მშენებლობა. დიდ-  
მა სტალინმა და მისმა საუ-  
კეთესო მოწაფემ ბერიამ,  
ჩვენი. ქვეყნის სამაყო შვი-  
ლებმა, ჩვენ, ინჟინერებს ყო-  
ველგვარი საშუალება მოგვ-  
ცეს დავიწყოთ მშენებლობა.  
მშენებლობისათვის გვაქვს  
საჭირო თანხები, რკინა,  
ფოლადი, იარაღები, ცემენ-  
ტი და ხე-ტე. ხალიდან ყვე-

ლაფერს მოვზიდავთ უჯარმოში და თქვენი  
დახბარებით შევუდგები მშენებლობას.

კოლმეურნების ტაშმა იგრიალა. ინჟინე-  
რი კი განაგრძობდა:

— ეგ არის, სანამ საცხოვრებელ ბინებს  
ავაგებდეთ, ერთი-ორი თვით შეგვიფარეთ.

— თქვენ, ჩვენსას მობრძანდით! — წამოი-  
ძახა უცებ გოგიამ.

მერე ხალხის შუაგულში მდგომ მამას შე-  
ხედა. მამამ შეიღს გაუღიმა, წამოეშველა და  
ინჟინერს მიმართა:

— დიახ, თქვენ ჩვენსა უნდა მობრძანდეთ.  
ერთ დიდ ოთახს დაგითმობთ — აივნით.

— გმადლობთ! — ღიმილით უთხრა მიპატი-  
უბით ნასიამოგებმა ინჟინერმა და გოგიას  
მიუბრუნდა: — მეგობრები ვიქნებით!

— აი, ის სახლია ჩემი სახლი. — დაანახვა  
გოგიამ ინჟინერს ორსართულიანი აივნიანი  
სახლი, რომელიც სოფლის საბჭოს მოსჩერე-  
ბოლა პირდაპირ.

ინჟინერი ისევ მანქანებში ჩასხდნენ.  
სოფსაბჭოსა და კოლმეურნეობის თავმჯდო-  
მარებიც ჩაისვეს. გოგიას, რომელიც მათ  
არ მოშორებია, ბერმა გაუღიმა, უფროსმა  
ინჟინერმა იგი გვერდით მოისვა. მანქანები  
სოფელ პალდოსაკენ გააქროლეს, სამგორის  
მთავარი არხის მომავალ სათავის ადგილისა-  
კენ. გზა პატარა ხეობით მიემართებოდა.

— სწავლობთ? — ჰკითხა გოგიას ინჟი-  
ნერმა.



— დიახ.

— რომელ ქლასში ხართ?

— მერვედან მეცხრეში გადავდივარ.

— კარგია, ყოჩალ! — მოუწონა ინჟინერმა.

— თქვენ მართლა ინჟინერი ხართ? — ჰკით-  
ხა ახლა გათამამებულმა გოგიამ.

— მართლა.

— ძნელია ინჟინერობის შესწავლა?

— ძნელი? მონდომებული და ბეჯითისათ-  
ვის სიძნელე არ არსებობს. თუ იმ საგნებს,  
რასაც სკოლაში გასწავლიან, კარგად შეით-  
ვისებ, ინჟინერობის შესწავლა ძნელი არაა.

ამ საუბარში მანქანებმა უჯარმოს მთა გა-  
დალახეს, გაკვენენ იორის პირს და სოფელ  
პალდოს ბოლოში შეხერდნენ...

უფროსმა ინჟინერმა ქაღალდების შესანა-  
ხი ფართო მუყაო გაშალა, რუკები ამოილო,  
მუხლზე გადაიფინა და დააცემარდა.

— საღა ბალდოს კბოდე? — იკითხა მან.

— აი, იქ, ხიდს გაშალა. მიუთითა გოგიამ,  
იორის გადასასვლელი რკინის ხიდს გადაღმა  
აყულებულ კლდის ფლატოზე.

— აი, იქ იქნება სათავე სამგორის არხისა.  
— სთქვა ინჟინერმა.

— თუ იმ საგნებს, რასაც სკოლაში ვსწავ-  
ლობ, ბეჯითაც შევისწავლი, ინჟინერობა ძნე-  
ლი არაა! — უტრალებდა თავში გოგიას. კვ-  
თილი, რახან ასეა, ინჟინერი ვყოფილვარ. —  
და გაბრწყინებული სახე ინჟინერისაკენ მიაბ-  
რუნა...



## აღმაშენდებ ბაზრატიონი

რუსეთის პირველი გენერალ-ფედერაციასტერი

XVII საუკუნის შეორე ნახევარში, სპარსეთისა და თურქეთის ინტრიგების გამო, საქართველოში მეტად რთული პოლიტიკური მდგომარეობა იყო. ამ გართულებული ვითარების შედეგი იყო, რომ განთქმული ქართველი პოეტი არჩილი, რომელიც ჯერ კახეთში, ხოლო შემდეგ იმერეთში მეფობდა, იძულებული გახდა სამშობლო მიეტოვებინა და ოჯახანად რუსეთის გადახვეწილიყო. არჩილი და მისი ამაღლა რუსეთის მეფის კარგებატივით მიიღეს; არჩილი დიდი ხნით დასახლდა მოსკოვში. მისი უფროსი შვილი ალექსანდრე იზრდებოდა რუსეთის ახალგაზრდა უფლისტულთან, რუსეთის მომავალ შეფერი რეფორმატორ პეტრე 1-თან ერთად. ისინი ყმაწვილობიდანვე ერთობ დაახლოვდნენ. ალექსანდრე მინაწილეობას იღებდა პეტრეს /განთქმულ „გასართობ“ სამხედრო ოამაში, შემდეგ კი პეტრესთან ერთად გაემგზავრა ევროპაში სასწავლებლად. ევროპაში სწავლის დროს ალექსანდრემ სამხედრო სპეციალობა აირჩია, ქალაქ ჰავაგაში დარჩა და იქ მიიღო /საფუძვლიანი განათლება, კერძოდ, ზედმიწვნით შეისწავლა საოტილერიო საქმე.

როცა პეტრე პირველი გამეფდა, ქართველი უფლისტული ალექსანდრე, როგორც ნიჭიერი და ენერგიული, მიუხედავად ახალგაზრდობისა, დანიშნა უარიესად მნიშვნელოვან პოსტზე — რუსეთის მთელი არტილერიის უფროსად და უბორა გენერლის ხარისხი. ამ დროს პეტრე პირველი ახორციელებდა არტილერიის რეფორმას, და ალექსანდრემ დიდი დახმარება გაუწია მას ამ საქმეში. ალექსანდრემ მიზნად დაისახა რუსეთის არტილერია აეყვანა ევროპის მოწინავე ქვეყნების არტილერიის დონეზე როგორც რაოდენობით, ისე ხარისხით. ამისათვის მას უცხოეთიდან რუსეთში მოჰყავდა ამ საქმის საუკეთესო თსტატები, მოაწყო სხვადასხვა ყალიბის ზარბაზნების ჩამოსხმა, თვალყურს ადევნებდა არტილერიის ახალ მიღწევებს ევროპის ქვეყნებში და ეს მიღწევები გადმოჰქმდა რუსეთში.

1700 წელს დაიწყო რუსეთ-შვეციის ომი. ეს იყო ახალგაზრდა რუსეთის პირველი შეჯახება შვეციასთან, რომელიც მაშინ მთელ ევროპაში უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა. რუსებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ ნარვას და იქ მიიყვანეს დიდალი არტილე-



(1674 — 1711)

რია. პეტრე 1-ისა და ალექსანდრე შავრატიონის ლონისძიებებით შემნილი ახალი ზარბაზნები ბევრად სჯობდა რუსეთის ძეველ ზარბაზნებს, ისინი დიდ ზარალს აყენებდნენ ნარგას. მაგრამ ნარგას ალება მაიც არ ხერხდებოდა. პეტრე რუსეთში წავიდა ჯარის შესაგროვებლად, უმაღლესი სარდლობა კი დროებით დაავალა პეტროვ ფონ-კრუსი, რომელიც ერთობ მხდალი და შერყევი გენერალი აღმოჩნდა.

ფრონტზე პეტრეს არყოფნის დროს შვედებიან შეუტიეს რუსის ჯარს. პეტროვი ფონ-კრუს დაიბნა და ჯარს უბრძანა ბრძოლაზე ხელი აეღო, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის არმიის საუკეთესო პოლკები და ალექსანდრე უფლისტულის არტილერია მეღვარწინაღმდეგობას უწევდნენ შედებს. მაგრამ არმია მაიც სარდლობის ბრძანებას უნდა ღამორჩილებოდა და დანებდა.

ამ ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა ალექსანდრე ბავრატიონი. ათი წელი დატყო მან ტყვეობაში, მაგრამ ტყვეობის მდიმე პირობებშიც თავი არ დაუნებებია სასახლო მოვაწეობისათვეს. მან იცოდა, რომ მამამისი

არჩილი მოსკოვში ქართულ ენაზე დასაბეჭ-  
დად ამზადებდა ბიბლიას\*), ამიტომ სტოქ-  
ჰოლმში ჩამოასხმევინა ქართული ანბანი\*\*).

პეტრე 1-ს დიდი მეცადინეობა დასჭირდა,

\*) ეს ხიბლათ შემდეგ გამოსცა უფლისწულმა  
ბაქარმა — ვახტანგ VI-ის ძე.

\*\*) ქართული შრიფტები დაცული იყო  
სტოქჰოლმის სამეფო ორქივის 1705-6 წლების  
საქმეებში, ამის შესახებ ცნობები გაძირვეს  
და 1935 წელს შვედურ უფრნალში, ხოლო  
1937 წელს „საქართველოს სსრ სახელმწიფო  
საჯარო ხელითოვეფის შრომებში“, წიგნი III.

რომ ალექსანდრე ტყვეობიდან ესინა, ბო-  
ლოს, ალექსანდრეს შესაძლებლობა მიეცა  
რუსეთს წამოსულიყო, მაგრამ გზაში ავალ  
გახდა და გარდაიცვალა ქალაქ პიტიიაში.  
ალექსანდრეს ნეშტი პატივისცემით გაღმო-  
ასვენეს მოსკოვს და დაკრძალეს მოსკოვის  
დონის მონასტრის დიდი ტაძრის საკურთხე-  
ვილევში.

ალექსანდრე ბაგრატიონის სახელი განუყ-  
რელადა დაკავშირებული რუსეთის არტი-  
ლერიის განვითარების აღრითდელ პერიოდ-  
თან. მის ღვაწლს არ დაივიწყებს საბჭოთა  
კავშირის სამხედრო ისტორია.

### გიორგი ქაჭაბიძე

# სტებენ სიმინდი



წავლის გძირი ქალ-ვაჟები  
ნათელს ჰერნდნენ ღილით მერხებს,  
ახლა სოფელს მოეშველენ  
და ქალაში სიმინდს სტებენ.

მკლავში ძალა შეემატათ  
აღტაცებულ დედებს, მამებს  
და სიმინდის ხვავს ქალაში  
მხარგანიერ ბორცვად დგამენ.

თვალს აუხელს მრავალ ტაროს  
საღამომდე მათი ხელი;  
სიხარულად მოსულებმა  
მოილერეს კოხტად ყელი.

უღელს ეძმო ხარ-კამეჩი,  
არ იხსნიან აპეურებს;  
ხმას უმაღლებს მოსავალი  
ტაროებით სავსე ურმებს.

რა სიმღერა წამოიწყეს,  
რა წერიალა და რა ტკბილი!  
სოფელს დაღლა დაავიწყეს,  
დაუბრუნეს სხივი დილის.

მინდვრად ოქრო დღეები აქვთ  
კოლმეურნე მამაც გლეხებს,  
სტებენ სიმინდს, და მამაცი  
მოსწავლენიც სიმინდს სტებენ.





# უცნობი პაცი

კოტე ლოგინიდან აღრე წამოხტა. ხელ-პირი დაიბანა. დედას საუზმე უკვე გუმშადებინა. სწრაფად ისაუზმა, ჩანთას ხელი დავჭლო და სანამ გარეთ გამოვიდოდა, დედის წინ შეჩერდა. ყოყმანობდა. ეტყობოდა რაღაც აწუხებდა.

დედამ მზრუნველი თვალით შეხედა და შეექითხა:

— რა ვინდა შვილო... რაღად იგვიანებ, საკაა ზარიც დაირეჩება!

კოტე გათამამდა, ალექსიანი, ტკბილი ხმით უთხრა დედას:

— დედიკო, თუ გაქვს, სამი მანეთიც მომეცი, ღლეს ღმრთიგებელი რვეულებს მოგვითხავინ!

დედამ კოტეს ეჭვით შეხედა. კოტე მოუხვდა.

— დედიკო, გუშინ რომ ფული წავიღე, იმით ნამცხვარი ვიყიდე სკოლის ბუფეტში...

— კი მაგრამ, საუზმე ხომ ყოველთვის მიგაქვს? — უქანაყოფილოდ ჰქითხა დედამ.

— ისეთი ტკბილი, ტკბილი ნამცხვარი იყიდებოდა, რომ... — სთქვა კოტემ დარცხუნით და თავი ჩალუნა.

— კარგი... ეს უქანასკნელი იყოს... არ მომატყუო, თორებ, მამა რომ ჩამოვა, შეგარცხვენ!

კოტემ ფული ჯიბეში ჩაიდო და გარეთ გამოვიდა.

ქუჩის მოსახვევში შეჩერდა, გულბედავად ჰითხედ-მოიხედა და ცალფეხს, სქელ კაცთან მიეიღოდა, რომელიც პაპიროსს ჰყიდდა.

— ძია, სამი მანეთის პაპიროსს მომეცი...

სქელმა კაცმა არცები შეხედა, ისე მოწილა პაპიროსები. კოტემ ჯიბიდან ასანთა ამოილო, გაჟრა და პაპიროსს მოუკიდა. უკანიდან ფრთხილი ფეხისხმა შემოესმა. მიზეულა. შეკრთა: ვილაც მაღალი კაცი მას დაურენებით უმზერდა და ნელი ნაბიჯით მიყვებოდა. კოტემ ფეხს აუჩქარა. პაპიროსის კავმლმა ხეელა აუტეხა. თავბრუ დაესხა, ტკბილი ნამცხვარი გაახსენდა, რომელიც გუშინ გემოთიც არ უნახავს.

“ვინ არის, მე ხომ არ მომდევს?” — გაიფიქრა კოტემ და უკან მიუხედავად აპირებდა გაქცევას, მაგრამ უნებურად მიბრუნდა და მაღალ კაცს დააკვირდა. უცნობი მზრუნველი თვალით უცემერდა ყმაწვილს.

“როგორ ჰგავს მამას!” — გაოცებით გაიფიქრა კოტემ და პაპიროსი დამალა.

უცნობმა თვალი აარიდა კოტეს, გვერდით ჩაუარა, მაგრამ ისევ შეჩერდა და მისკენ მობრუნდა.

— ბიჭიკო, ეს რა ქუჩაა?..

კოტემ უცნობს შეხედა. ის მხიარულად ილამებოდა. ახლა იგი მამამისს ალარ გავდა. ყმაწვილმა თვალსუფლად ამოისუნთქა, გათამამდა.

— ეს ქუჩა, ძია, ხევის ქუჩაა!

— არა, ეს ხევის ქუჩა არ უნდა იყოს... დალას აქეთ მაგ ქუჩას დაცემებ და ვერავინ მიმარტვავლა?..

— ხევის ქუჩაა, ხომ არ მოგატყუებთ... მეც ამ ქუჩის თავში ვცხოვრობ, აგერ იმ სახლში... თქვენ რომელი ნომერი გნებავთ?


— სხაბასხუპით უპასუხა კოტემ და გაქცევა დააპირა, რაღაც ზარის ხმა შემოესმა.

— წალი, ბიჭიკო, წალი... ახლა მივაგნებ... დაბალი ხმით სთქვა უცნობმა კაცმა და კოტეს კელაც ყურადღებით დააცემერდა. მას ისევ ფიქრიანი, ზრუნვით საესე თვალები ჰქინდა.

კოტე სკოლისკენ მირბოდა, ეჭვი აწუხებდა, ფიქრობდა:

„ვინ იყო ის კაცი... რატომ მივამსგავსე მამას?... ქერა კაცია, მაგრამ მაინც მამას ჰგავს... ვათუ მამას ამხანაგია, ვათუ მცნობს!..“

სკოლის უცნობას რომ მოუახლოვდა, შეჩერ-



ლა. ყოფილობდა. უცებ ჯიბიღან პაპიროსები ამოილო, ლაამტვრია და ასანთთან ერთად თხრილში ჩაჰყარა.

„სულ ნიკოს ბრალია... იმან წამაქეზა... სამი დღეა დედას ვატყუებ. ამ დღეებში მამაც ჩამოვა... ნეტავ, ის კაცი ვინდა იყო?“

არ ასვენებდა ეს ფიქრი კოტეს.

სკოლის გაბე ქურდულად იარბინა. სამასწავლებლოდან გამოისულ მასწავლებელს გასწრო და საკლასო ოთახში შევარდა.

ოთხი გაეცეთილი ისე დამთავრდა, მასწავლებლებისთვის თვალში არ შეუხედავს. ხან დედაზე ფიქრობდა, ხან პაპიროსზე, ხანაც იმ უცნობზე, მამას რომ მიამსგავსა.

„ნეტავ ვის ეძებდა ჩვენს ქუჩაზე?“ — გაუელვებდა თავში ეჭვი და მოსალოდნელი შეიცვენით კრთოდა.

გაეცეთილების ლამთავრების შემდეგ სკოლიდან ნელი ნაბიჯით გამოვიდა. გზაში ნიკო შეხვდა. მან მხარზე ხელი დაკერა კოტეს და სიცილით უთხრა:

— ჰა, დღეს საუზმის ფული არ მოვიტანია?

კოტემ ნიკოს თვალი აარიდა. მოაგონდა დედის მოსიყვარულე სახე, უცნობი კაცის ფიქრიანი, ზრუნვით საგსე თვალები და თავი ვეღარ შეიმაგრა:

— დამანებე თავი, ლამანებე... სულ შენი ბრალია!

შინისაკენ ვაიქცა. ოთახში რომ შევიდა, დედას გაუბედავად შეხედა. დედა რალაცას ჰქონდა. მწყრალი სახე ჰქონდა.

კოტეს ჩანთა ისევ ხელში ეჭირა, ვერ მოეხერხებინა მაგიდასთან მისვლა და მისი დადგება.

საწერ მაგიდასთან, კედელზე, ჩარჩოში ჩამიტლი მამის სურათი ეკიდა. კოტემ სურათს შეხედა, მაგრამ მაშინვე თვალი მოარიდა, თავი ჩაღუნა.

ო, როგორ ჰგავდა იმ უცნობი კაცის თვალებს მამამისის თვალები!

კოტე შეერთა. დედის ფეხის ხმა შემოესმა. დედა მასთან მივიდა, ჩაღუნული თავი უკან გადაუწია.

— შეიღო, დღეს აქ ერთი კაცი იყო... — დაიწყო მან მწყრალი, ჩუმი ხმით, მაგრამ არ დასრულა, თვალებში ჩახედა შეიღო.

კოტე შეწუხდა, დაიბნა... თვალებზე სინანულის ცრემლი მოადგა, მაგრამ თავი მაინც შეიკავა.

— ვინ, ვინ კაცი? — წალულლუდა მან და დარცხვენილმა შეხედა დედას.

— შეიღო, იცოდე, რომ შენთვის გარტო შენი დედ-მამა კი არ ზრუნავს, სხვებიც, სხვებიც ზრუნავენ და გული შესტკივათ! — მღელვარე ხმით სოქვა დედამ, წამით შეჩერდა და ისევ განაგრძო:

— იმ კაცმა შენ დაგინახა და შეებრალე, შეებრალე როგორც საკუთარი შეიღო, რომელიც ცუდ გზაზე დგება... ის მასწავლებელია, პატიოსანი მოქალაქე... მამაშენის ძევლი ნაცხობი ყოფილა... მოვიდა და მითხრა, რომ შენ... შენ თურმე...

— ვიცი, ვიცი, რასაც გეტყოდა... მაპატიე, მაპატიე დედიკო, ალარ ჩავიდენ ასეთ რამეს... მაპატიე!...

ამბობდა სინანულისა და წუხილისაგან აცრემლებული კოტე და დედას ძვირფას ხელებს უქოცნიდა.



# სეპანი

## ბუნების საჩუქარი

გეოგრაფიულ რუკებზე უდაბნოები და შთები ყვითელი ფერით არის აღნიშნული, მდინარეები, ტბები და ზღვები კი—ცასფერით ან ლურჯით.

დახმარეთ სომხეთის რუკას. იგი თითქმის სულ ყვითელია, მხოლოდ ერთ ადგილას არის ღია ლურჯი ლაქა,—ეს არის სევანის ტბა. რუკის საშუალებით, იმისთვისაც კი, კინც სომხეთში არ ყოფილა, ნათელი ხდება, რომ სომხეთი მშრალი და ცხელი მხარეა. ამის გამო აქ სახალხო მეურნეობის წარმატებისათვის წყალზე ბევრი რამ—არის დამოკიდებული.

სევანის ტბა ანუ, როგორც ძველად უწოდებდნენ, გოქჩა მდებარეობს მაღალ მთებში. ქალაქ ერევნიდან ის დაშორებულია 65 კილომეტრის მანძილით. ტბის ფართობი 1.413 კვადრატული კილომეტრია. სევანი ყველაზე მაღალმთანი ტბაა მსოფლიოში.

ქალაქ ერევნის დასავლეთით მდებარეობს შერალი შამირანის ტრამალი, სამხრეთი — მზისგან გადამწვარი სამხრეთ-აღმოსავლეთის კირი. ამათ თაბაზე, როგორც ცივი წყლით სავსე ჭურჭელი, გამომომდგარია სევანის ტბა. დილით, როგორც მზე ამონის, სევანი ინიება თვალის მომჭრელი არაჩეულებრივი სინათლით. ადრიანად ის ძალზე ცივია და იმდენად კამჭვირვალი, რომ 14 მეტრის სიღრმეზე ნათლად ჩანს ტბის ფსკერი. ძლიერი ქარის როგორც სევანის სამხეტრიანი ტალღები აღიმართებიან ხოლმე და დაფრინავენ ქაფის ღრუბლები.

სევანის ტბა მდიდარია ნაზი და გემრიელი თევზით, როგორიცაა განთქმული კობრი და კალმახი. მის ნაპირებზე ბუდობს ზღვის ინვი, თევზიყლაპია, მეთოლია და სხვა ფრინველი.

## ფიზიკის კანონი

ეს მოხდა 37 წლის წინათ.

მისკოვის უნივერსიტეტში კურსდამთავრებული სუკიას მანასერიანი დაბრუნდა თავის სამშობლო სომხეთში და შეუდგა სევანის ტბის შესწავლას. მანასერიანი დიდხანს დადიოდა ტბის ნაპირებზე, ზომავდა წყლისა და ჰაერის ტემპერატურას, ირკვევდა ტბის სიორმეს... კითხულობდა გეოგრაფიულ ჩაშროებს სევანის შესახებ.

სევანის ტბაში 29 მდინარე ჩადის, იქიდან კი მხოლოდ ერთი მდინარე ზანგა გამოიყოს.

სად იყარებება დანარჩენი წყალი?

„ გათბობის შედეგად წყალი ორთქლად იქცევა,—ფიქრობდა მანასერიანი,—სევანზე ხომ ძალიან ცხელი მზე იცის! სევანზე მუშაობის დროს ახალგაზრდა მეცნიერს მზის მწვავე სხივებისაგან კანი სულ დამწვარი ჰქონდა. „წყალი ორთქლად იქცევა სევანში. აი, სად არის სევანის წყლის დაყარგვის საიდუმლოება!“... თავისმა აზრმა თვითონვე გააკვირვა. სუკიას მანასერიანმა ასე განსაჯა: სევანის ფართობი ვეებერთელა. ტენი, რომელიც სამხრეთის მზისაგან ორთქლდება, იქუმშება, ღრუბლებად იქცევა და მიღის შორს სამხრეთისაკენ. შესაძლებელია თუ არა წყლის აორთქლების შეჩერება, მისი შენახვა? ან და როგორ უნდა მოეწყოს ეს? რა მოხდება, ტბის ფართობი რომ შემცირდეს? მაშინ აორთქლებაც უსათუოდ შემცირდება და შესაძლებელი გახდება გამოყენებულ იქნას წყალი, რაც ეხლა აორთქლების სახით უსარებლოდ იყარება ჰაერში. ამის შედეგად სომხეთი დაიფარება მწვანე ბალებით და ნათესებით.

სუკიას მანასერიანმა შეადგინა პროექტი სევანის ტბის ფართობის შესამცირებლად და გაემგზავრა თბილისში მიწათმოქმედების დეპარტამენტთან ასეცულ წყლების განკოფილების ინსპექტორთან. ინსპექტორმა მოუსმინა მანასერიანს და... უარი უთხრა:

ის, რაც არ შეეძლო და არც უნდოდა გაეკეთებია მეფის რუსეთს, განახორციელა საბჭოთა სახელმწიფომ. საბჭოთა ინიციატივი სევანის წყლით არათუ გაანაყოფირებენ მზისაგან სომხეთის დამწვარ ველებს, რაზე-დაც ოცნებობდა მანასერიანი, არამედ მისცემენ ელექტროენერგიას ფაბრიკა-ქანხნებს.

ახლა სევანი სტალინური ხუთწლედის ერთი უმნიშვნელოვანები შეხებლობაა. მის ნაპირებზე დაწყებულია გრანდიოზული სამუშაოები. აქ ბურღავენ და აფეთქებენ კლდეებს და მის ნაცვლად აღმართავენ გიგანტებს.

## ხუთმეტი წლის შემდეგ

ჭარბოდგინეთ მოგზაური, რომელიც 15-20 წლის შემდეგ ინახულებს სომხეთს და რომელიც ყოფილა აქ აღრეც. მანქანით გაიკლის ძრინარე ზანგას მარცხენა ნაპირს და მოსულვებს შეუხვიოს იმ მტკრიანი აღილებისაკენ, რომლებიც მას აქ უნახავს.

მაგრამ დახეთ მის განცვიფრებას. მოგზაური თავის თვალს არ უჯერებს და გაკვირვებული სტხოვს შოთერს შეაჩეროს მანქანა.

— თქვენ ყურძენი, ატაში გაქვთ? — გაკვირვებული ეკითხება შემხვედრ კოლმეურნეს; — მე კი მასსოვს, რომ აქ იზრდებოდა მხოლოდ აბზინდა.

— ახლა ჩვენ გვაქვს სევანის ტბით განაყოფიერებული ნიადაგი, — ღიმილით უპასუხებს კოლმეურნე.

მანქანა განაგრძობს გზას. მოგზაური ხედავს მარჯვნივ ოღმართულ ქარხნის გიგანტს. გაკვირვებული ეკითხება შოთერს:

— რა გიგანტია ეს?

— ეს მინის ქარხანაა, — უპასუხებს შოთერი.

— იქით რაა?! — ანიშნებს მარცხნისაკენ.

— ეს არის მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელსაც ელექტროენერგიას აძლევს სევანის ტბა.

მანქანა მიკერის შარაზე. სალამოვდება. მოსახვევთან მოჩანს დიდი ვარდისფერი დაფიონი. მოგზაური კიდევ უფრო გაკვირვებული ეკითხება შოთერს:

— რა, არის ეს?!

— სევანის მერვე ჰიდროელექტროსადგურთაგანია, — უპასუხებს შოთერი. — ნუთუ არ გაგიგონიათ სევან-ზანგას ჩანჩქერი! ის იძლევა იმდენ ელექტროენერგიას, რამდენაც ღნეპრჟესი.

როგორ იქნება ეს მოწყობილი?

სევანის ტბა სიღრმის მიხედვით ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: დიდი და პატარა სევანი. დიდი სევანი არა ღრმა, პატარა კი ღრმა არის. მეცნიერნი ფიქრობდ-



სუკიას ეფრემის-ძე მანასერიანი

ნენ დიდი სევანის წყალი ჩაეშვათ მთიდან არარატის ქვაბულში. ამისთვის გადასწყვივ ტეს გაეტრათ კლდეებში გვირაბები და არ ხები, წყლის გზაზე აეშენებიათ ჰიდროელექტროსადგურები.

წყალი, რომელიც მთიდან გადმოხეთქს, დატრიალებს ელექტროსადგურების ტურბინებს და განხდება ელექტროენერგია. წყალი განაგრძობს გზას, წავა ქვევით არხებში და გზადაგზა მორწყავს ბალებსა და ვენახებს. მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ ოდესაც დიდი სევანიდან მთელი წყალი გადმოდინდეს! ეს შესაძლებელია, როგორც ინუინრები ამბობენ, 55 წლის შეშდევ.

რა იქნება მაშინ? ნუთუ შეწყვეტი მუშაბაზა ელექტროსადგურები და გადაბმება მიურა, საღაც ჰყვაოდნენ ბალები? არა, ეს არ შობდება. წყლისაგან დაიცლება დიდი ჟეკანი, მაგრამ პატარას 29 მტინარე ისევ მიუტანს წყალს. ტბაში ძველებურად იდენს წყიმის და თოვლის წყალი. წყლის მისვლა ტბაში იქნება იგივე რაოდენობით, რაც აღრე, გასავალი კი იქნება ნაკლები, რადგან ტბის ფართობის შემცირებასთან ერთად შემცირდება წყლის აორთქლებაც.

თარგმანი ელ. დევიძისა



105941  
101922

# თერგითან

I

პიონერი მთამსვლელები  
ხეეს მისდევენ, არ იღევა  
მთის სიმწვანე, ჩანჩქერები,  
გზა ქცეული ყვავილებად.  
ჰა გამოჩნდა დარიალის  
კლდოვანი და რუხი მთები.  
ამ აფეთქის დაემუქრა  
საქართველოს განსაცდელი, —  
დარიალმაც გადაიცვა  
ჯარისკაცის ტანსაცმელი.  
დიდმა კაცმა აქ აღმართა  
მიუვალი რკინის ციხე;  
ვეღარ შესძლეს ურჩეულებმა  
გამოხტომა თბილისისკენ.  
მთებში ბრძოლა დაგვირგვინდა  
ჩვენი ხალხის გამარჯვებით.  
მტერს ხიშტებით დაუწერეს  
სასიკვდილო განაჩენი.  
ბევრი გმირი დაგვეღუპა,  
აღარ ფეთქვს შათი გული,  
ბევრი ნახეს მთების ძირას  
ავტომატით განგმირული.  
ჩერდებიან ყმაწვილები,  
საფლავებზე თავებს ჰერიან,  
დგანან ჩუმად და ლოდებზე  
მთის ყვავილებს გრძნობით ჰყრიან.  
გავლეს ძმათა სასაფლაო,  
ველს წაადგნენ მთამსვლელები;  
ქოხი დადგეს, შეისვენეს,  
უამი იყო დასვენების.

II

მოდის შოთა კავკასიძე —  
მთამსვლელების მეთაური,  
შოთას გვერდით თანაშემწე  
მოდის ნორარ ბეჭაური.  
გუნდად მოსრევთ მეგობრები —  
პიონერი რაზმელები,  
მოეფინენ თერგის რიყეს

ძმაღნაფიცი მთამსვლელები;  
აგროვებენ ფიჩს და კუნძებს —  
საკოცონო ნარიყალას,  
ღამით უნდა იზეიმონ, —  
რაზმი განა დაიღალა!  
მოიარეს მთელი რიყე,  
შეაქუჩეს ნარიყალა ...  
ხოლო როცა შზის ჩასვლისას  
დღე და მწუხრი გაიყარა,  
მოღიოღნენ ყმაწვილები  
ხმელი ფიჩით დატვირთული;  
მოღიოღნენ მხიარულად,  
უმლეროდათ მქერდში გული.  
კუნძს მოათრევს აგერ შოთა,  
არ ღალატობს ყმაწვილს ონე;  
შოთას მოსდევს ფიჩით ხელში  
ბეჭაური თავმომწონედ.  
შორს გამოჩნდა მათი ქოხი  
შემოწნული ახალ წენელით;  
მოღიოღნენ, საუბრობდნენ  
პიონერი ძმაკაცები.

— შევისვენოთ, შოთავ, საღმე...  
ამბობს ნოღარ ბეჭაური.  
— შევისვენოთ, —დასტურს აძლევს  
თანაშემწეს მეთაური.  
— ის ალაგი მომეწონა,  
აქეთ როცა მოვდიოდით,  
ასკილებთან, გზის ნაპირას

ერთად რომ დევს თრი ლოდი.  
იმ ადგილას შევისვენოთ,  
იმ ლოდებზე დავსხდეთ, ნოდარ!  
გზას მისდევენ... ურს უგდებენ  
ქაფმორეულ თერგის ბორგვას.

### III

თერგი ლოდებზე დასხდნენ ჩუმად,  
თერგის ხმაურს ურს უგდებენ  
და კლდეები ირგვლივ ხევში  
ყრუ გუგუნით გუგუნებენ.  
ორი სახე მომლიმარი  
ცას შეჰქარის საღამოუამს;  
გაღმით ქედი თოვლიანი  
მოჩირალინე ლაპრად მოჩანს.  
წამოდგება ბოლოს შოთა,  
ცივ ლოდს უმზერს და არ სჯერა,  
მხოლოდ ახლა, მხოლოდ ახლა  
შეაჩნია ქვას წარწერა:  
„აქ მარხია ლეგიონის  
საყვარელი მეთაური,  
აქ დაეცა, აქ დაემარხეთ  
ძმებმა შაქრო ბექაური“.  
დგას ყმაწვილი და შემკრთალი  
გაეკირვებულ ნოდარს უმზერს  
და თვალიდან უნებურად  
წყვილი მძივი მოსწყდა უცებ.  
გარინდულა და თვალები  
კვლავ ლოდისკენ გაურბიან...  
სწუხს ნოდარიც... თუ რა მოხდა  
ვერაფერი გაუგია...“

— ლოდს დახედე, — ამბობს შოთა, —  
არა მკითხო დანარჩენი,  
ლოდს დაპეტედე და ის გეტყვის,  
თუ სად არის მამაშენი...  
სთქვა და ძმობილს ფერდაკარგულს  
შოთა წუთით გაეცალა...  
წყვილმა ცრემლმა გაიბრწყინა,  
ქვაზე, როგორც ნაპერწყალმა.  
მთებს პირბადე ჩამოსცილდა  
და ხევიდან ასულ ლრუბლებს,  
ზვიად კლდეებს და მყინვარებს  
გულით უნდათ გუგუნენენ.  
გულით უნდათ, ნოშად ხსოვნის,  
გადაიქცენ ზარბაზნებად,  
რომ იქუხონ მის საფლავთან  
ვინც ემსხვერპლა გამარჯვებას.

### IV

შოთამ ცრემლის მარგალიტი,  
რად დაისხა, რომ დაისხა!  
ო, იცოდა, რა კეთილი  
იყო მამა ნოდარისა!  
სწორედ ომის დაწყებამდე  
ძია შაქრომ არ უყიდა

ალისფერი ყელსახვევი,  
ცელქ შოთას რომ გაუცვირდა!  
გაუცვირდა და ლიმილით  
იდგა, რაღა ეპასუხს!  
— ჯერ ხომ ოქტომბრელი გარო,  
კარგად ახსოეს, ესღა უთხრა.  
მამამისი ხომ ძმობილად  
შეეფიცა ძია შაქროს,  
იქნებ ისიც აქ დაეცა  
და ძმობილთან სძინავს ახლოს!  
ახსოეს, არც ერთ დღესასწაულს  
ცალ-ცალკე არ შეხვედრიან,  
ორი შმობლის ბროლის ჭიქა  
ურთერთს ბევრჯერ შეხებია.

ბინდებოდა და საფლავთან  
ჩურჩულებდა სიონ ნელი.  
კვლავ ჰკოცნიდა, ცრემლს აღვრიდა  
სამარის ლოდს პიონერი.

ბოლოს მწუხარე ნოდარი  
წამოდგა, წამოიმართა,  
— რამე მითხარი, ძმაოო, —  
სთქვა და მეგობარს მიგარდა.  
მიგარდა, ძმობილს ჩაექრა  
თვალცრემლიანი ძმობილი,  
და დიდხანს იდგნენ ლოდებთან  
მკერდი-მკერდ გადაჭდობილნი.  
\* \* \*

ღამით მთის ძირას კოცონი  
აენთო, ამობრიალდა,  
სულ გაანათა გარემო,  
მთვარის სინათლეს ჩრდილავდა.  
გარშემო პიონერები  
შემოვლებოლნენ ჯაჭვივით,  
ლრუბლებს სწვდებოდა ბრიალით  
ალი ზეცაში აჭრილი.  
ხელს უწვდის ნოდარს ძმობილი,  
კოცონთან ახლო დგებიან,  
და გზნებით მათი თვალები  
კოცონები ჩირალდნდებიან.  
— მამები, ჩვენი მამები,  
ძმაო, ძმობისთვის იბრძოდნენ,  
ჩვენც ძმობა გვინდა ისეთი,  
როგორც მშობლებმა იცოდნენ. —  
სთქვა კავკასიძებ და ხელი  
მხარზე მოხვია ბექაურს...  
უსმენდნენ პიონერები  
რაზმის საყვარელ მეთაურს.  
ძმობილს კი გრძობით ეკვროდა  
გულანთებული ძმობილი  
და დიდხანს იდგნენ კოცონთან  
მკერდი-მკერდ გადაჭდობილნი.



## საყვარელ ბეჭიას!

კვანუკალე ბებიას, ჩემს საყარელ ბებიას,  
ჩემი ჩასვლა სოფლები როგორ გახარებია!  
შეუნახავ ჩატანება, დამპატრულ ცურნძინ,  
მე კი მის გასახარად ჩემი ლექსი კულევი:  
საყარელო ბებია ჩემი კარგ ბებია,  
რომ ტყბილი ხოლო მელდომებია?  
როცა წავლ ქალაქში, ბებიენის საყარელს  
მთო აგრძობისინ ბურნისს და სოფლების!


ՅԵՐԱՇՈԽԱՀ ԱՍՏԵԽԱՑՈՅԵ  
ՏԵՂԵՆԿԱԼՈՒ ՎԱՐԺԻ ՏԱ ՏԱՄԵՐԱՀԱՆՔ ՏԵՂԵՆԿԱԼՈՒ  
VIII ԿՐՈՆԱԿԱՆ ԹՐԱՄՎԻՇԱԳՐԸ.

ვარდის კოკოჩო პატარავ!

ନେଇବୁ ଦୂରଳ୍ପଶ୍ଵାଦ ମହିରୀ,  
ପାରିଲିବୁ କ୍ରମକର୍ମ ପାତ୍ରାରୀଙ୍କ  
ନେଇଗୁବୁ ଶ୍ରୀଲୋକା,  
ଶବ୍ଦମୁଦ୍ରାରୀ ଶ୍ରୀମତୀରୀଙ୍କ,  
ସ୍ଵପ୍ନମାଳା ଦ୍ୱାରା ଉଚ୍ଛବି,  
ଯୁଗମାଳା ଦ୍ୱାରା ଉଚ୍ଛବି —  
ହେବୁ ଘୁମିଲା ମହିରୀମରୀ ଘୁମିବାର,  
ଧେରୀ କି ନାହାର ଦେଖିବୁଗୁଡ଼ି—  
ଦେଖିବୁଗୁଡ଼ି ତାଗୁମ୍ଭାବାର,  
ଶ୍ରୀମତୀରୀଙ୍କ ଶବ୍ଦମୁଦ୍ରା,  
ଶ୍ରୀମତୀରୀଙ୍କ ଥିବା ଦା ଦାରିଦ୍ରା,  
ଶ୍ରୀମତୀରୀଙ୍କ ଶ୍ରୀମତୀରୀଙ୍କ ଦା ଦାରିଦ୍ରା  
ଏହି ମହିରୀଙ୍କଟି ଅରାଦା,

6. 8250223050

თბილისის ჭალთა მე-5 საშუალე  
სკოლის VI კლასის მოსწავლე



സംബന്ധമുണ്ട്

— ց, Տեղուած՝ աղմակաց մտշութեա.  
— Յանապահ, առաջ լրպանաց, ուն սահմանաց ց սահմանաց—կը լուզ Արքանի մուտքածուուն ց տոքածուուն է առաջանաւ.  
— Եյրու առաջանաւ մտշութեա, ին-  
ւես արակա և առաջան գործակ:  
— Բարսուն ց արական վաճառքաւրարեալու սահմանաց, պարունակած աշ-  
տակա, հորու պատրաստ սահմանաց առանձին մտշութեա, մուտքածուուն ց տոքածուուն շաբաթական, մըրու շա-  
բաթական գործ հիմնավորաց ց աշտակա, մըրու շա-  
բաթական միջակա միջակա արակա ու սահմանաց պատրաստ մտշութեա, մըրու շա-  
բաթական մուտքածուուն ց տոքածուուն անդամ առա-

— ଏହିବୁ ଶ୍ରେଣ ମନ୍ଦଗ୍ରେଡ୍‌ଯୁ, ଶ୍ରେଣ୍‌କାରିତ ଲା  
ପ୍ରାଚୀନାଳିଙ୍କ ଶ୍ରେଷ୍ଠଗ୍ରେଡ୍‌ର ମନ୍ଦଗ୍ରେଡ୍‌ର ଫଳରେ ମୁହଁ  
ପରେପରେ ଶାଖାଗ୍ରେନ୍‌ଟାର୍ନ୍‌ମେଂଟ୍—ଗାସିପା ଡରନ୍‌କେବା ପରିବାସ  
କାହାରାକ୍ଷେତ୍ରରେ କାହାରାକ୍ଷେତ୍ରରେ କାହାରାକ୍ଷେତ୍ରରେ

არა ეს კანი. თანხმობ მორევი ეყარა  
რავალი დაშვერილი და კევრის გადებისა-  
ნ ნაკუნძ-ნაკუნძულ მეტიზი გვეძი

— ଏହି ନାମରେ କାଳୀରୁ  
ଶ୍ଵରାଜୀ ନାନୀ, ଏହି ପ୍ରଦୟନ୍ତରୀଣଙ୍କ ପିଲାଗ୍ରୀ  
ନାନ୍ଦ୍ରାଜୀରୁ ଏହି ସାମନ୍ଦରା ଅନ୍ତର୍ବିଦୀରୁ କୋତ୍ତରୀଣଙ୍କ  
ଶ୍ଵରାଜୀ ନାନୀ—ପାଇଁରେ କାଳୀରୁ ମନ୍ଦିରରୁ ଥାଏଇବୁ ଏହା  
ଶ୍ଵରାଜୀ ନାନୀରୁ କିମ୍ବା ପାଇଁରେ କାଳୀରୁ ମନ୍ଦିରରୁ  
— ଏହା ସାମନ୍ଦରାଜୀରୁ ଶ୍ଵରାଜୀରୁ ଏହି କୋତ୍ତରୀଣଙ୍କ  
ଶ୍ଵରାଜୀରୁ କାଳୀରୁ ମନ୍ଦିରରୁ ଥାଏଇବୁ କାଳୀରୁ

— ଶ୍ରୀଜନ୍ମାର୍ଥ, ଏହିଟି ମହିଳା ଯିବା କି କେବୁ  
ଲିଖିଲି ତୁମ୍ଭଙ୍କୁ ଦେଖିବାକୁ ପାଇଁ ଆମେ କିମ୍ବାକୁ  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ნელი ნაბრაზით მივკეთოდით ვსახ. შეიძა  
ქისაენ მიედოთთა. ჩეცნს თვალწინ იქტოს  
უერთ პერს ყანები იღლებოდა. ცოტა ალ  
მართ ავიარეთ და ართილსკალოში შევ  
დით.

სოფლის წყაროსთან შეესტენეთ, მოხუც  
ცი აგრძელებოდა, სისტერენის საუბრისთა  
ეს მატერიალი კუთხით გარემოს დაკინ  
ებით მოვალეო თვალი და მოგვერინა.  
გართლაც საცტანო ყოფილა ობილონსკა  
ლი თავის ხელმინი სუფთა ეზოებთა დ

II ၁၈၇၃ ခ. ၁၈၇၄ ခ. ၁၈၇၅ ခ. ၁၈၇၆ ခ.  
၁၈၇၇ ခ. ၁၈၇၈ ခ. ၁၈၇၉ ခ. ၁၈၇၁၀ ခ. ၁၈၇၁၁ ခ.



Digitized by srujanika@gmail.com

କିମ୍ବା ଦ୍ୱାରାମୁଣ୍ଡରୀ ହରିତ-ହରି ମହାରାଜୁ, ଲୁପ୍ତକା  
ଶ୍ରେଷ୍ଠ ତାନ୍ତ୍ରମୋଳାଙ୍କି ହାରିତମୁଲ ଏବଂ କାନ୍ଦିନୀ,  
କାରାତଳୀଳି ହାଲ୍ଦାଙ୍କି ମହାରାଜୁ ମହାରାଜୀ,  
ପ୍ରମୁଖ ଉତ୍ସବରେ ଶ୍ରୀକର୍ଣ୍ଣଶିଳ୍ପୀ ନାଥାନ୍ଦ,  
ଏହି ଦ୍ୱାରାର୍ଥିରୀ ହାରିତମୁଲମ୍ବନ ଦୟାଦାସ  
ଶ୍ରୀକର୍ଣ୍ଣରୂପ୍ୟେଷଣ ଶ୍ରମିକିରୀ ଏକାନ୍ତିରି.

ა დ ლ ე ს ვ ე ბ მ ა რ ტ ი ღ ა რ ც ხ ვ ა  
დ ა ბ ლ ლ ა ს ხ ა მ ა კ უ ლ ი ,  
წ ი ნ დ ა უ ტ ე რ ე მ ი ღ დ ბ უ ლ ხ ი ტ ყ ვ ა ს ,  
გ ა მ ი ვ ა კ უ ლ ი მ ი წ ვ ა ს ხ ე ლ ი ,  
რ ი მ ე ლ ს ა ს მ ი ს ვ ა დ ა ლ ი ა კ უ ლ ბ ს  
ა ბ ა მ ხ ი ს ი ს ხ ი ს ი ს ხ ი ს ი ს

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

# დენინურ-სტადინური კომკავშირი

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეფი



25 წლის შინათ, ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის მითითებით მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი კომკავშირის შეფობის შესახებ.

იმ დროისათვის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტი სუსტი იყო. ხომალდების დიდი ნაწილი უვარებისი იყო, ნაწილი კი უცხოელმა ინტერვენტებმა გაიტაცეს. ფლოტი კადრების დიდ ნაკლებობასაც განიცდიდა. რევოლუციურ მეზღვაურთა დიდი უმრავლესობა ომის წლებში წითელი არმიის რიგებში ჩადგა სამშობლოს დასაცავად. მრავალი მათგან დაეცა ბრძოლის ველზე... ფლოტი დღითი დღე ახალ შევ-სებას მოელოდა.

კომკავშირის V ყრილობაზე 1922 წლის 16 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი შეფობის აღებაზე.

შეფობის აღებასთან დაკავშირებით თავის მოწოდებაში ყრილობა სწერდა:

„რუსეთის ყველა კომკავშირელმა უნდა იცოდეს: ჩვენი რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი მშეიდობიანობის დღეებშიც არ ჩაუშვებს ლუზას წყნარ ნავსადგურზე. ჩვენ მოვემზადებით იმისათვის, რომ უკუვაგდოთ მსოფლიოს მტაცებელთა ყველა ცდა (საიდანაც უნდა იყოს ეს ცდები)—დაიმონონ მუშაობა და გლეხთა რუსეთი...“

კომკავშირელები და წითელფლოტელები ერთი დროშის ქვეშ შეასრულებენ ერთსა და იმავე საქმეს—საბჭოთა რესპუბლიკის მშენებლობასა და მისი სანაბიროების დაცვას“.

შეფობის პირველსავე წელს კომკავშირმა ფლოტს 7 ათასამდე ახალგაზრდა შეჰმატა. თვითეულ კანდიდატურაზე მსჯელობრინენ კომკავშირულ კრებებზე. საუკეთესოთაგან არჩევდნენ უკეთესთ. ყოველწლიურად ჩვენი სამხედრო ფლოტი იზრდებოდა და ძლიერდებოდა, ახალ-ახალ ძალებს იკრებდა.

1932 წელს, შეფობის ათი წლისთავზე, სამხედრო საზღვაო ფლოტისადმი შეფობაში საუკეთესო მუშაობისათვის თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხანაგმა ვოროშილოვმა კომკავშირს მაღლობა გამოუკავდა.

მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს ბრძოლები, რომლებიც საბჭოთა ხალხმა გადაიტანა დიდი სამამულო ომის წლებში... სამხედრო-საზღვაო ფლოტმა საბჭოთა არმიასთან ერთად ოქტომბერის ფურცლები შეჰმატა ჩვენი ქვეყნის უკვდავ მატიანეს, პირნათლად შეასრულა თავისი ვალი ხალხის წინაშე, სამშობლოს წინაშე.

თაობიდან თაობას გადაეცემა საზღვაო ფლოტის, საბჭოთა ფლოტელთა რეინისებური სიმტკიცე, უმაგალითო გმირობა ლენინგრადთან და ოდესასთან, სევასტოპოლითან და სტალინგრადთან, ჩრდილოეთის ზღვასა და წყნარ ოკეანეზე... საბჭოთა მეზღვაურებმა, კომკავშირელმა ფლოტელებმა წმიდად დაიცვეს რუსეთის ფლოტის უძველესი ტრადიცია და ომის განმეოღლობაში ყოველი საბჭოთა ხომალდი შეუპოვრად ებრძოდა მრებს.

საბჭოთა არმიის ღირსეულმა თანაშემწემ, სამხედრო-საზღვაო ფლოტმა უკვდავების შარავანდედით შემოსა დედა-სამშობლო სამამულო ომის წლებში.



# მაჭველი მათელი

მოთხოვა

I

ყვირილსა, ტირილსა და კვნესას მოეცვა ირგვლივ ყველაფერი... შავი კვამლის ბურუსს სჭრიდა წითელი ცეცხლის ალის უზარმაშარი ენები. ქარი ხან დედამიწაზე ატრიალებდა მას და ხან ცისაფენ მიაქანებდა სვეტებივით.

ისმოდა მტკრევისა და ნგრევის შემზარავი გრუსტნი, და ამ საშინელ ჯახანსა და ლრიანცელში გაისმოდა ზარების საგანგაშორება.

მოსკოვი იწვოდა.

ყოველი მხრიდან მოსდებოდა ცეცხლი.

ჯერჯერობით მხოლოდ კრემლში არ ბობოქრობდა ისე, როგორც კრემლის გალავნის გადაღმა. კრემლში უმთავრესად ქვის სახლები იყო. ხის სახლები კი მხოლოდ აქა-იქ ერთა და სწორედ იქ იჩენდა თავს ცეცხლი.

ქუჩებში ხალხი, ვედროებითა და ცულებით ხელში, დარბოლა ხანძრის ჩასაქრობად.

კრემლის გალავნის ჭინგურზე მიკუჭული იდგა პატარა ბიჭი. ტანზე გადაცმული ჰქონდა გრძელი ხიფთანი. შავ, მოგრძოდ შეკრეჭილ ხუჭუჭი თმას ქარი უწერდა. დიდრონ, შავ თვალებში, გახტარ, მოძრავ სახეზე შიში და გაოცება აღმეცდოდა.

უცებ ბიჭის ყურადღება ერთმა დედაკაცმა მიიპყრო, რომელიც გიურიო, თავზარდაცემული, ცისკენ ხელებაბყრობილი მორბოდა.

დედაკაცი მოულოდნელად შეჩერდა, მუშტები კრემლისაკენ მოიღერა და ვიღაცას ემუქრებოდა. შემდეგ ისევ გაიქცა წიგილყივილით. ამ დროს ბიჭის ახლო გაირბინა მსახურმა, მას მეორე მსახური შეეფეთა, ორივენი გაჩერდნენ, და ბიჭმა გაიგონა:

— ვერ იპოვე?

— ვერა, თითქოს მიწამ ჩაყლაპა.

— შეისკი დაგემუქრა, თავს გაგაგდებინებთ, თუ ეხლავე არ იპოვნეთო.

— ბოიარებს, შუისკებსა და მსტისლავსკებს სასიხარულო დღე დაუზგათ. ტებილი ცხოვრება დაეწყებათ: გლინსკები ხალხმა ლუქმა-ლუქმად აქცია, მეფის მთელი მოლგა, ბებით დაწყებული, ცოცხალი არ დარჩება ხეალამდის.

— რასაკვირველია, არ გადარჩება: კნეინა გლინსკაია კუდიანი იყო, ჯადოქარი, მკვდარ ადამიანებს მკერდის უპობდა, გულს გლეჯდა; ახლაც კუდიანმა გლინსკაიამ გაუჩინა მოსკოვს ცეცხლი.

ბიჭმა როდესაც გლინსკების შესახებ ლავარაცი გაიგონა, ყური სცევიტა და სმენად ვადაიქცა. განსაკუთრებით თავზარი დასცა კნეინა გლინსკაიას ჯადოქრობის ამბავმა.

— ეს რა მესმი! — წარმოსთვევა მან, — ნუთუ ბებია ჩემმა...

აზრი ველარ დაათავა. ბიჭს ვერ წარმოედგინა, რომ მის ამაყ, ლამაზ ბებიას მკვდრის მკერდი გაეპო და ცული ამოეგლიჯა.

— ეს რა გავიგონე! ნუთუ შესაძლებელია?..

რაღაც საშინელი ურიალი დაერხა ყურში და ამ ურიალმა დაფარა გრიგალის ხმაურიც, ცეცხლის ბობოქრობაც. გული თითქოს გაუჩერდა მკერდში. ხელ-ფეხი გაუყინდა, მთელი ტანით დაეშვა სალოაც უფსერულში.

პატარა ივანე უფლისწულს გული შეუწუნდა და გონება დაპერაგა.

II

უფლისწულს თავის სახლში გამოეღვიძა. დიდანის ვერ მიმხვდარიყო, სად იყო და რა მოუკიდა. ფანჯრის ცვრილ, სხვადასხვაფერ შუშებში დილის მზის სხივები სხვადასხვა-ფერად ეთამაშებოდა ოთახის ქაშანურის კედლებს.

უფლისწულს უყვარდა მზის სხივთა ანარეკლის თამაშის ცეერა და ღლესაც ვერ აშორებდა თვალს სხივების აღერსიან ცალს კედელზე... მაგრამ უცებ ყველაფერი მოაგონდა... მთელ ტანში, სქელ ბუმბულის საბანევეშ, ცივმა ოფლმა დასხა და სული შეეხუთა. პირი გაალო, უნდოდა ესუნთქა, მაგრამ პაერი არ ჰყოფხდა, უნდოდა დაეყვირა, ძალა არ შესწევდა.

ფეხს ხმა მოესმა; ვიღაც თამამად და მაგრად მოაბრახუნებდა ფეხს მუხის ძელების იატაზე. უფლისწული გაიტრუნა, პირი მოკუმა, თვალები დახუჭია. იგრძნო, რომ ვიღაც დაიხარა და ათვალიერებდა მას.



— სძინავს ჩვენს პატარა მეფეს, — გაისმა დამცინავი, უხეში ხმა.

— ბოიარინ შუისკი. — გაუელვა უფლისწულს.

— დიახ, სძინავს, — გაისმა მეორე, მორჩილი ხმა.

— ჩემი ლალა გოლუბი!

შუისკი წელში გასწორდა და მიტრიალდა. უფლისწულმა ოზნავ გაახილა თვალი და ქვირვასი ქურქით შემოსილი გოლიათი შუისკის ზურგი დაინახა. მან ისევ დახუჭა თვალი და გაიტრუნა.

— სად იპოვნეთ? — იქითხა შუისკიმ.

— ქრემლის გალავანზე. — მოწიწებით მოახსენა გოლუბმა.

— წადი, დაუძახე ბოიარინ თევდორეს. — უბრძანა შუისკიმ.

ხმები მიწყნარდა.

უფლისწული ივანე ჩვეა ჩუმად, სულგანბაძული. ცოტა ხანიც და ოთახში ვიღაც შემოვიდა. ივანემ ოზნავ გაახილა თვალი ფრთხილად და იცნო ბოიარინი თევდორე ბელსკი. შუისკი და ბელსკი პატარა მაგიდასთან დასხდნენ უფლისწულის საწოლის ახლოს.

— როგორ გეძინათ, ბოიარინ თევდორე? — ჰეთხა შუისკიმ.

— მადლობა ღმერთს, არა უშავდა. საშინევლი დამე იყო, ბოიარინ ივანე. სულერთობად გაღიაშვა მოსკოვი. პირდაპირ მიკვირს, როგორ გაღავარიჩინეთ ქრემლი!

— ახლა შეგვიძლია ღვთის შეწევნით, სული მოვითქვათ. — სთქაშ შუისკიმ, — გლინსკების სახსენებელიც კი მოისბო. ხალხმა სულ ნაკუწნაეუწად აქცია ყველა. ხალხი მხეცია, მშვებულ ძალს ჰგავს, ვისაც მიუსკვა — დაფლეთს...

— ჩუმად, ბოიარინ ივანე, არ გაიღვიძოს.

— არ გაიღვიძებს. გუშინ მთლად გაიყინა გალავანზე, და თუნდაც გაიღვიძოს, ახლა ეს ჩვენს ხელშია, ჩვენი მოწინააღმდეგ არავინ

არის. — შუისკის სრულიად დავუწყდა უფლისწული და ხმა აიმაღლო:

— მაგისმა პატამ არაწმინდა უფლისწულის ჩაგონებით აღვეთა წევდა. მოიარების უფლებები. იგი თავის ცოლისა და ერთი დამქაშის ჩაგონებით განაცემდა შინაურულად ყველა სახელმწიფო საქმეს. ძველი თავადების გვარეულობა უნდოდათ ამოეგდოთ. მაგისი მამა ვასილი და დედაც იმავე გზს მიჰყებოდნენ, მაგრამ არა უშავს, დროზე მოვიშორეთ ორივე.

— ჩუუ... — ბელსკი აღგა, დაიხარა, დახედა უფლისწულს და სთქას: სძინავს.

— თუნდაც რომ არ ეძინოს, პატარაა ჯერ, ვერას გაიგებს... შევიღობით, ბოიარინ თევდორე, უნდა წავიდე, საქმეება მაქვს...

— წავალ მეც, გოლუბს ეუბრძანებ, დანაყრის, როდესაც გაიღვიძებს.

ბოიარები გავიღნენ.

უფლისწული რამდენიმე წუთს იწვა ჩუმად. უძრავად. მეჩე აღგა, მთელ ტანში ისევ ერუანტელი უვლიდა. ჩაიცვა. კარებში გოლუბი გამოჩნდა.

— როგორ ბრძანდები, უფლისწულო? თავი ხომ არ გტევივა?... ახლავე მოგართმევ. ჩემო მტრედო, საუზმეს...

უმაწვილს თვალები ცეცხლივით აენთო, შავრამ ხმამოულებლივ გამწია კარებისაკენ.

— სად მიბრძანდები, უფლისწულო?

— გალავანზე!

— რას ამბობ! ბოიარინ შუისკიმ ბრძანა...

— და გოლუბი წინ გადაუდგა.

— ჩამომეტალე გზიღან! — შეჰყვირა უფლისწულმა.

— შეშინებული გოლუბი განზე გადახტა. უფლისწულმა გაიარა, სწრაფად დაშვა სასახლის ოთახების ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ კიბეებზე, გადაირბინა ეზო, ავიდა კოშკზე და გაცხედა მოსკოვს. მთელი მიდამო ტყევზამდის სავსე იყო დამწვარი, აქვამლებული სახლების ნაგრევებით.

ვიღაც შიშისა და მწუხარებისაგან ჟეჟუაზე შებუდარ ქალს ხელში ეჭირა დანაშირებული მუგუზალი და ბავშვივით არწევდა. ქარს მიჰქონდა უფლისწულთან ქალის ნანას ხმა:

ციცუნიავ მოდი, მოდი,  
ოამე ჩვენთან გაათივ,  
ჩემ ბიჭიკოს ნანა უთხარ  
და აკვანი დაარწიე!

ივანე უფლისწულს ამ სიტყვების გაგონებაზე გააურეოლა. ამ სიტყვებით ხომ ბებია გლინსკია უმღეროდა მას ხშირად დაძებისას.

! საშინელი, არაბავშვერი სიმძაფრით მუშაობდა მისი ტყინი. ბუნდოვანიღ, მაგრამ საშინელი სიმტკიცით იბადებოდა მს. გულში მწარე ეჭვები, რომ მოსკოვი დაწევეს მისთვის, რომ მიესიათ ხალხი გლობისკების ამოსაწყვეტად, ბების დასაღუპავად.

აღარ მოვა მასთან ბებია, არ გადაუსვამს ალერსით თავზე ხელს, არ უმლერებს და აღარ უამბობს ზოპრებს.

! გაისმა ფეხის ხმა. რამდენიმე კაცი შუისკის წინამძლოლობით შემოვიდა. კოშქში. შუისკიმ უფლისწულს ტლანქად ჩავლო ხელები მხრებში.

— სად გარბიხარ სასახლიდან მგლის ლეკვითი?!

! იგანე უფლისწულმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიწია, გაითავისუფლა მხრები და გაბრაზებულმა გადადგა წინ ნაბიჯი.

! შუისკიმ უნებურად დაიხია უკან.

— მე უფლება მაქეს ვუყურო, როგორ იტანჯება ჩემი ხალხი! — დაიყირა უფლისწულმა რისხვით.

! სიჩუმე ჩამოვარდა კოშქში. შუისკი დაიხარა და მდაბლად მოახსენა:

— საერთო მწუხარებაა, უფლისწულო. ლეთის განგებას სად გაეჭცევი. წადი სასახლეში, დაისვენე, დაშვიდღი.

! უფლისწულმა მღუმარედ გაიარა გვერდზე გამდგარ ბოიართა შორის და ნელა დაეშვა კოშქის კიბეზე.

! დაღვრემილი ბოიარები უკან მიყვნენ.

### III

რამდენიმე თვის შემდეგ, თუმცა ჯერ კიდევ ზამთარი იყო, მაგრამ ჰერს უკვე მოპქონდა გაზაფხულის სიო. შუაღლისას მშივებივით სწვეთდა სახურავებიდან ქრია-

ლა წვეთები. თოვლქვეშ უკვე ისმოდა წყლის წანწერარი, თოვლი ფარავდა გადაბუგულ ქალაქს, მაგრამ აქა-იქ მაინც მოსჩანდა, არა გორ აშენებლნენ ახალ სახლებს და ბევრი უკვე აუშენებიათ. ყველგან ხალხი ფუსფუ-სებდა.

მოსკოვი შენდებოდა ხანძრის შემდეგ. ნაცრად და ფერფლად ქალაქი ქვლავი იძღვდობოდა.

უფლისწული დღესაც იდგა კრემლის გალვანზე. მისი გამხდარი, ნერვიული სახე რაღაც სინათლით იყო გაშუქებული. დიდი ინტერესით უყურებდა ის მოსკოვის მშენებლობას, ხალხს, ბრწყინვალე თოვლს და სახურავებზე დაკიდებულ სხვადასხვაფერად მოლივლივე ლოდულებსაც.

უცებ თვალი შეაჩერა იქვე კედლის ახლო შეჯგუფებულ ხალხს. ბოიარების მოსამსახურები ყვირილით დასდევდნენ დასაჭრად ვიღაც ბიჭს.

ძველი და გრძელი ხიფთანიანი ბიჭი, რომელსაც ხელში ჩაებლუჯა ქუდი, იმის შიშით, რომ არ დაჰკარგოდა, მოხერხებულად უსსლტებოდა ხელიდან მდევრებს.

— გოლუბ! — დაუძახა უფლისწულმა.

გოლუბი. რომელიც ახლოს იდგა, მაშინვე მასთან გაჩნდა.

— რა გნებას, უფლისწულო?

— წადი ახლავე, წართვი ის ბიჭი შუისკის მოჯალაბებს და სასახლეში მომგვარე!

გოლუბის სახეზე შიში და ტანჯვა გამოიხატა.

— ბოიარები რომ... — გაუბედავად ალულულდა ის.

— მოიყვანე, გიბრძანებ!..

გოლუბმა შეხედა უფლისწულის მოქუმულ



პირს, ანთებულ თვალებს, მაშინვე უსიტყუოდ მიტრიალდა და წავიდა თავის ქექით.

— მონასტერში უნდა გავექცე ამისთანა სამსახურს. ცალკე ბოიარინ შეისყის მუქარა, ცალკე ბოიარინ მსტისლაქსკის მუქარა, სიგრძეს სიგანედ მოგიქცევ, თუ უფლისწული თვისნებაზე მიგიშვიაო... ესეც ყვირის... რომ არ გაუუგონო, ცოფიანიკით გადაირევა. არ მესმის, რამ შეაყვარა ასე მოჯალაბეთა შეილები, თითქოს თვითონაც მოჯალაბეთა შეილები, კი მეფური იცის.

გოლუბმა ისევ მწუხარედ მოიქექა კეფა. რამდენიმე წუთის შემდეგ გოლუბმა ბიჭი მოყავანა სასახლეში.

შეშინებული ბიჭი აქეთ-იქით იყურებოდა, გაბოროტებული თვალები ცრემლით ჰქონდა სასესე.

ივანე უფლისწულს გაელიმა, ეტყობოდა, აცინებდა ბიჭის შეში.

— რატომ გაურბოდი შეისყის მოჯალაბებს? — შეეკითხა ის.

ბიჭი სდუმდა. მერე, როდესაც შეხედა თავს ტოლ ბიჭს და ღაინახა სისამურის სარჩულიანი ხიფთანი ეცვა, უცებ დაიჩოქს, ფეხებში ჩაუვარდა. რაღაცა ისევ ჩაიკრა გულში და ატირდა.

— წართმევა უნდოდათ, — სთქვა მან.

— ადექი!

ატირებული ბიჭი აღგა, მაგრამ განაგრძობდა სლუქუნს... ათრთოლებული არ იშორებდა მეტრიზე მიჭერილ ხელს.

— მოიტა!

— წამართმევ! — ამოიკვნესა ბიჭმა.

— მოიტა, გიბრძანებ!

ბიჭმა ყოყმანით გაუწოდა ხელი.

უფლისწულმა გაკვირვებისაგან თვალები ფაჭყიტა.

მოჯალაბის ბიჭს ხელში ხელნაწერი ქალდი ეჭირა.

ივანებმ გამოართვა ქალადი, დახედა სლავური ასოებით დაწერილ არეულ-დარეულ სტრიქონებს და ჰეთხო.

— რად გინდა შენ ეს?

— კითხულობ, — უპასუხა მწუხარედ ბიჭმა.

კიდევ მეტი გაკვირვება დაეტყო უფლისწულს.

— შენ კითხულობ? დეკანოზის შვილი ხარ, თუ მონასტრილან გამოქცეული?

უფლისწული ვერ მიმხვდარიყო, როგორც ყველა მისი ღროვის აღამიანები, რომ შესაძლებელი იყო, უბრალო მოჯალაბეს წერა-კითხა ესწავლა.

— არა, — წაიხურჩულა ბიჭმა.

— მაშ როგორ? შენ?... — განციფრებულმა უფლისწულმა აღარ ღამოავრა აზრი.

22

ბიჭმა ისევ დაიჩოქა და ისევ ჩაუვარდა ფეხებში.

— მომეცი. ნუ წამართმევ თავიზდეშვილო, — შეევედრა ის.

— ადექი.

ბიჭი აღდა და თავჩალუნული გაჩერდა. ეტყობოდა დარწმუნებული იყო, რომ ახლა უთუოდ წართმევდნენ ძვირფას საუნავის. მაგრამ ივანემ უსიტყყოდ მიაწოდა ხელნაწერი. ბიჭმა საჩქაროდ ჩამოართვა და დამაღლებები.

— მაშ ვინ ხარ? — გაიმეორა ივანემ კითხვა.

— ივაშკა ფეოდოროვი ვარ. მაშაჩემი ტყეში წაჭცეულმა ხემ დაიტანა და მოკვდა. სამადლოდ შემიკედლა საეკლესიო წმინდების გადამწერლმა სერგიმ... იმისაგან ვისწავლე წერა-კითხვა... მე თვითონ ვისწავლე, სერგიმ რომ შეიტყო, გამოვავრდა: — რა მოჯალაბის საქმეა წერა-კითხვის ცოდნია.

— მერე და როგორ ისწავლე?

ბიჭი გამოცოცხლდა:

— ლამლამობით ვიჯექი და ვუყურებდი დაწერილ ფურცლებს. ბევრი ჰქონდა სერგის დაწერილი ფურცლები. ღღე ღრი არ მეონდა: წყალს ვუზიდავდი სერგის, შეშას ვუპობრი, ბაზარშიც დაერბოდი, საყდარშიც მიმჭონდა მისი შესამოსელი. ღამე კი მქონდა თავისუფალი ღრო. ავანთებდი წმინდა სანთლის ნამწავი, ვუყურებდი ფურცლებს და ვცდილობდი წამეკითხა. ისე ძალიან მინდოდა წამეკითხა, რომ ენით გამოთქმაც კი არ შეიძლება. სერგის ერთ ღიღდ ფურცელზე ცალკე ეწერა ჰსოება... ჰოდა. ვუყურებდი, რომელ სიტყვაში იყო ასეთი ასო, შემდეგ იმ ეკლესის მღვდელს, კეთილი კაცი იყო, გვითხვედი ხოლმე, რა ჰქეია ამა და ამ ასოს მეთქი, ისიც იცინდა და მეუბნებოდა: ან, ბან, გან... ოოპ, ღიღდხან ვეწვალე, თავადი-შვილო, სანამ პირველ სიტყვას ამოვიკითხვედი.

— რატომ მეძახი თავადიშვილო?

— მაშ, ვინა ხარ? კრემლში სცხოვრობ!

— მე თქვენი ღიღდი მთავრის ვასილის შვილი ვარ, — თავმომწონედ წარმოსთქვა უფლისწულმა.

ივანე ფეოდოროვი შეკრთა.

— მეფის შვილი, ივანე ვასილის-ძე? — შეცყეირა მან და განცემთრებულმა დააღმინდები მყავს. აბა, დაჯექი, ნახე, რა წიგნი გიჩვენო.

— მე შენ მომწონხარ, ივანე ფეოდოროვ. მეც ვიცი წერა-კითხვა, მხოლოდ თვითონ კი არ მისწავლია. მასწავლებლები მყავს. აბა, დაჯექი, ნახე, რა წიგნი გიჩვენო.

და ივანე უფლისწულმა ვააღმო კარადა. გამოილო კარგა მოზრდილი წიგნი! დადგა მა-



გიგანტე და გარაშალა. ივანე ფეოდოროვი განცვიფრებით დასცეროდა.

— ჩვენებური არ არის, — სთქვა მან ნება, — ნემეცურია<sup>1</sup>!, ცოდვა არ არის ამის წაკითხვა? ღმერთი არ დაგვსჯის?

ივანე უფლისწული დაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა:

— ეს წიგნი მამაჩემს მოუტანა ერთმა უცხო სტუმარმა და, როგორც ბებიაჩემისაგან გამიღონია, მამაჩემს უყვარდა იმის კითხვა. ეს ნიშნავს, რომ მისი წაკითხვა, თუ რუსეთის მეფე და მოსკოვის დიდი მთავარი კითხულობდა, ცოდვა არ უნდა იყოს.

ამ სიტყვების შემდეგ ფეოდოროვმა უფრო დამშვიდებით დაუწყო წიგნს სინჯვა.

ორიენტი დაიხარხენ და ყურადღებით ათვალიერებდნენ ჭრელ სურათებს და ნაწერსაც. ფეოდოროვმა გაკვირვებით იქითხა.

— ვინ დასწრა ნეტავი? — ფეოდოროვმა ფრთხილად გადაუსვა წიგნის ფურცელს ხელი. — რა ლამაზია, რა გლუვია! ნეტავი როგორ შეიძლება ასე წერა!...

<sup>1)</sup> სიტყვა „ნემეცი“ წარმოსდგება „ნემონ“—საგანკ (კართულად—მუნჯი). მი დროს რუსები ყველა უცხოელს მუნჯს ეძახდნენ, რადგან იმათ რუსული არ იცოდნენ.

— ეს ხელით დაწერილი არ არის.

— მაშ როგორ??!

— როგორ, არ ვიცი, მაგრამ ხელით არ სწერენ თურმე, მდივანმა გრიბოედოვმა მითხრა ჭახჩავით აწვებიან!

— რა კარგი იქნება, ჩვენ რომ ამისთანა წიგნი გავაკეთოთ!... — ნატვრით წარმოსთქვა ფეოდოროვმა.

— გავაკეთებთ... ყველაფერს გავაკეთებთ... იმათზე უკეთესად გავაკეთებთ ყველაფერს! — სთქვა უფლისწულმა რწმენით.

— გადამწერლები არასოდეს არ დასთანხმდებან. იმათ არ უყვაროთ წერა-კითხვის მცოდნე აღამიანები და ამისთანა წიგნის დაწერა რომ ვისწავლოთ უკალმოდ, ეს ხომ სიკედილი იქნება იმათთვის.

ივანე უფლისწულმა წარბები შეიხარა, მოილრუბლა.

— გადამწერლები არ დასთანხმდებან... მდივები არ დასთანხმდებან... ბოიარები არ დასთანხმდებან... მაგრამ დასთანხმდებან, თუ ამას რუსი ხალხი და მისი მეფე მოინდომებს!—შეჰვერია მან მრისხანებ.

გაკვირვებული ივანე ფეოდოროვი შიშითა და პატივისცემით შესცემერდა მას. (გაგრძელება იქნება)

# საქართველოს მდინარეები ხალხის სამსახურში

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა უდი-  
დესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს მდი-  
ნარეებს სახალხო მეურნეობის განვითარე-  
ბისათვის. მდინარე წარმოადგენს არა მარ-  
ტო ელექტროენერგიის წყაროს, არამედ  
გამოიყენება ნაოსნობისათვის, ხე-ტყის ღა-  
საცურებლად, საჩწყაფად, მეთევზეობისათ-  
ვის და სხვ.

საქართველო მეტად მდიდარია მდინარე-  
ებით და მათი გამოყენება ჩვენს სინამდვი-  
ლეში შეტად მრავალფეროვანია.

საქართველოს მდინარეები ორ მთავარ  
აუზს მიეკუთვნებიან. პირველი — დასავ-  
ლეთ საქართველოს მდინარეები — ჩაედინე-  
ბიან ზავ ზღვაში, მეორენი — აღმოსავლეთ  
საქართველოს მდინარეები — კასპიის ზღვა-  
ში.

კასპიის ზღვის აუზს მიეკუთვნება საქარ-  
თველოს ყველაზე გრძელი მდინარე ალაზა-  
ნი, 413 კილომეტრის სიგრძისა, იორი —  
389 კილომეტრი და მტკვარი, რომლის ზიგ-  
რძე საქართველოს სს რესპუბლიკის ფარ-  
გლებში 384 კილომეტრს აღწევს. ამ უკა-  
ნასკნელის მნიშვნელოვანი, შენაკადებია  
ალგეთი და ხრამი, არავი, ქსანი, ლიახვი,  
თეძამი და სხვ.

შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება დასავლეთ  
საქართველოს უდიდესი მდინარე რიონი. რი-  
ომელიც თავის სიგრძით (327 კილომეტ-  
რი) მეოთხე აღგილზე საქართველოში აღ-  
ზნის, იორისა და მტკვრის შემდეგ. რიონის  
მნიშვნელოვანი შენაკადებია: ტეხური, ცე-  
ნისწყალი, ყვირილა, ხანისწყალი. გარდა ამი-  
სა, დასავლეთ საქართველოში არის შემდე-  
გო მნიშვნელოვანი მდინარეები: ხოფი, ენ-  
გური, კოდორი, ბზიფი, სუფსა, ჭოროხი აჭა-  
რისწყლით და სხვა მრავალი.

საქართველოს მდინარეთა გამოყენების  
მთავარი სფერო ჰიდროენერგიის მიღება  
არის.

საქართველოს, მთის მდინარეები უდიდეს  
ჰიდროენერგიის მარაგს შეიცავს. რაც ოქ-  
ტომბრის რევოლუციამდე საქართველოში

გამოყენებული არ იყო. თუ საქართველოს  
მთელ ენერგორესურსებს მივიღებთ 100  
პროცენტად, მაშინ მარტო მდინარეთა ენე-  
რგიაზე მოდის 91 პროცენტი ენერგორე-  
სურსებისა, ხოლო 9 პროცენტი — ენერ-  
გორესურსების დანარჩენ სახეობაზე, როგო-  
რიცაა ქვანახშირი, ნავთობი, მერქანი (შე-  
შა), საწვავი გაზი, ტორფი და სხვ.


საქართველოს ყველა მდინარეთა ენერ-  
გორესურსთა სიმბლავრე თითქმის სჭარ-  
ბობს არა მარტო აზერბაიჯანისა და სომხე-  
თის რესპუბლიკებს, ერთად აღებულს, არა-  
მედ ერთ-ერთი პირველი აღგილი უკავია  
მთელს საბჭოთა კავშირში და გაცილებით  
აღემატება „თეთრი ნახშირით“ მდიდარ  
ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა შვეცია, შვეი-  
ცარია, ნორვეგია და ესპანეთი.

საქართველოს მდინარეთა უდიდესი მნიშ-  
ვნელობა ელექტროენერგიის მისაღებად გე-  
ნიალურად შეაფასა (ლენინმა, რომელიც  
1921 წლის აპრილში საქართველოს, აზერ-  
ბაიჯანის, სომხეთის, დაოისტნისა და მთი-  
ელთა კომუნისტებს სწერდა:

„... მთელი ძალ-ღონით.. განავითარეთ  
მდიდარი ქვეყნის საწარმოო ძალები, თეთ-  
რი ნახშირი, მორწყვა... დაიწყეთ დიდი მუ-  
შაობა ელექტროფიკაციისა და მორწყვის  
დარგში!“

თუ რევოლუციამდელ საქართველოში მხო-  
ლოდ 70 მცირედალოვანი ჰიდროელასადგუ-  
რი ითვლებოდა 8.000 კილოვატის სიმბლავ-  
რით, სტალინური ხუთწლედების მანძილზე,  
ხუთი დოზი და 500-ზე მეტი მცირე ჰიდრო-  
ელასადგური აშენდა. 1946 წელს ელექტრო-  
ენერგიის გამომუშავება 1913 წელთან შე-  
დარებით 41-ჯერ გაიზარდა.

მტკვარზე აშენებულია საქართველოს  
ელექტროფიკაციის პირმშო ლენინის სახე-  
ლობის, ზემოავჭალის ჰიდროელასადგური,  
რიონზე — რიონშესი, აჭარისწყალზე — აჭ-  
არესი, ღალიზგაზე — ტყვარჩელჭესი, მდინა-



რე აბაშაზე — აბპესი და სხვა მრავალი.

შეოთხე სტალინურ ხუთწლედში საქართველოს მდინარეები კიდევ უფრო მეტ ელექტროენერგიას მისცემენ ჩვენს რესპუბლიკას. აშენებულ იქნება 4 დიდი ჰიდროელისადგური, ხრამპესი—მდინარე ხრამზე, ჩითახევჭესი—მდინარე მტკვარზე, სოხუმპესი და ტყიბულპესი. აგრეთვე რამდენიმე მცირებალოვანი ჰიდროელისადგური, რომლებიც 1950 წლისათვის გამოიმუშავებენ 1,3 მილიარდ კილოვატსათ ენერგიას. შაორის ველზე, რაჭაში, დიდი ჭალასა და შაორზე აშენდება საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ელექტროსადგური — შაორპესი, რომელიც სპეციალურად მომსახურებს გაუწეს საქართველოს ელექტროფიცირებულ რკინიგზებს.

**რწყვა (ირიგაცია).** სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, მთლიანად სარწყავი არხების მშენებლობაზეა დამოკიდებული და აქაც, საქართველოს დიდი და პატარა მდინარეები, უდიდეს როლს ასრულებენ საკოლმეურნეო მინდვრების მორწყვის, ახალი მიწების ათვისებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

ახალი სარწყავი არხების მშენებლობა უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი ქართლში, მიმდინარეობს. შოთავარი მდინარეები, რომლებიც არხების საშუალებით რწყავენ ჩვენი სოფლის მეურნეობის მიწებს, არის მტკვარი და მისი შენაკადები ლიახვი, ქსანი, არაგვი, თეძამი, იორი, ალგეთი და ხრამი, ლეხურა, ალაზანი, აგრეთვე მდინარეები—რიონი, ცენტრული და სხვ.

თუ 1921 წელს არხების საშუალებით საქართველოში იწყვებოდა მხოლოდ 90 ათასი ჰექტარი მიწა, ამჟამად სარწყავი მიწა 200 ათას ჰექტარს აღემატება. საქართველოს მნიშვნელოვან სარწყავ არხებს მიეკუთვნებიან სკორა-ქარელის ახსი მდინარე ძამაზე, კეხვისა და სალთვისის არხები მდინარე ლიახვზე, ჯიშურაულისა — მდინარე არაგვზე, აჯამეთისა — მდინარე ყვირილაზე, ალაზნისა, ტირიფონისა და სხვ.

მშენებლობის პროცესშია ახალი არხები დოეს-გრაკლისა მდინარე თეძამზე, მუხრანისა — მდინარე არაგვზე, დოლლაურის ველისა — მტკვარზე, თეზი-ოკამისა — მდინარე ლეხურისა და ქასაზე.


შეოთხე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული მშენებლობის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგეს სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა. მდინარე იორის წყალი მორწყავს მტკვარსა და იორს შორის მდებარე ჭავლს უწყლო ტერიტორიას. სამგორის სისტემა შესაძლებლობს მოგვცემს „აყვავებულ ბალებად, ვერახებად, ბოსტნებად, ბამბის მაღალმასავლიან ბლანტაციებად გადავაქციოთ 37 ათას ჰექტარზე მტკი ამჟამად ცარიელი მიწა, რომელიც უშუალოდ ჭალაქ თბილისა აქრავს“. (კ. ნ. ჩარკვიანი).

15 ათასი კვადრატული კილომეტრის ზედაპირის მქონე წყალსაცავს მლაშე ტბების აუზში თბილისთან, წყალს მიაწოდებს მდინარე იორი. აქედან მოირწყვება სამგორის ველი და, გარდა ამისა, იგი შესაძლებლობას მოგვცემს ტყით დაფაროთ თბილისში მახაოს მთის ფერდობები, ლრმალელე, აღლაბრისა და ნავთლულის რაიონები. თვით წყალსაცავში მოწყობილ იქნება თევზჭერის მეურნეობა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მდინარე იორის წყალი სამგორის სარწყავი სისტემის საშუალებით მოგვცემს არა მარტო სარწყავ წყალს, არამედ ელექტროენერგიასაც. სამგორის სისტემაზე გაშენდება 4 ელექტროსაცემურა 36 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრით.

ამრიგად, შეოთხე სტალინურ ხუთწლედის პერიოდში აშენებული ახალი სარწყავი არხები დამატებით მორწყავები 80 ათასზე მტკექტარ მიწას და 1950 წლისათვის ჩვენი რესპუბლიკის სარწყავი ფართობი თითქმის 300 ათას ჰექტარს მიაღწევს.

**ხე-ტყის დაცულება.** გარდა ელექტროენერგიის მიღებისა და რწყვებისა, საქართველოს მდინარეები წარმოადგენ ხე-ტყის დაცულების საუკეთესო საშუალებასაც, რაც დიდად აადვილებს და აითვებს ხე-ტყის გადაზიდვას ადგილიდან ადგილზე, ამით კი



ჩეენი სარკინიგზო და ავტოტრანსპორტი  
მნიშვნელოვნად განტვირთულია.

საქართველოს ხე-ტყის, დასაცურებლად  
შეიძლება გამოყენებულ იქნას თითქმის  
ყველა მდინარე, პირველ რიგში კი მდინარე  
მტკვარი, რიონი და ალაზანი. ამჟამად ხე-  
ტყის დასაცურებლად უფრო მეტად გამოყე-  
ნებულია მათზე შედარებით უფრო მცირე  
მდინარეები, როგორიცაა კოდორი და ენგუ-  
რი.

მდინარე კოდორი ხე-ტყის დასაცურებ-  
ლად ვარგისა თითქმის მთელ სიგრძეზე და  
მასზე წლიურად, დაახლოებით, 100 ათასი  
კუბური მეტრი ხე-ტყის ჩამოზიდვა ხდება.  
მდინარე ენგური, რომლის მთელი სიგრძე  
გამოყენებულია ხე-ტყის დასაცურებლად,  
მერქანს აწვდის რესპუბლიკის ერთ-ერთ  
უდიდეს საწარმოს — ზუგდიდის ქალალის  
კომბინატს. ხე-ტყის დასაცურებლად, გან-  
საკუთრებით დასავლეთ საქართველოში, გა-  
მოყენებულია აგრეთვე მდინარეები ბზიფი,  
ღალიზგა, დასავლეთ და აღმოსავლეთ გუ-  
მისთა, კელასური, აჭარისწყალი და სხვ.

**თევზის ჭერა.** გარდა ზემოაღნიშნულისა  
საქართველოს მთელ რიგ მდინარეებში წა-  
რმოებს თევზის ჭერა, განსაკუთრებით

მტკვარში, ხრამში, რიონში, იორში, ალ-  
ზანში.

**ნაოსნობა.** საქართველოს მდინარეები, მა-  
თ ძლიერი დაქანების გამო, ნაოსნობისათვის  
ძირითადად გამოუყენებელია. შეიძლება გა-  
მოყენებულ იქნას მხოლოდ მდინარე მტკვა-  
რი (თბილისიდან ევლახამდე), რიონის ქვე-  
მოწელი, ალაზანი, აგრეთვე კოლხეთის მცი-  
რე მდინარეები ხოფი, ცივა, ფიჩორა, კაბარ-  
ჭა და სხვები, რომელთაც შეუძლიათ აწარ-  
მონა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ტვირ-  
თის ადგილობრივი გადაზიდვა.

საქართველოს პირობებში მდინარეებს  
უდიდესი სანიტარულ-ჰიგიენური მნიშვნე-  
ლობა აქვთ მოსახლეობისათვის, განსაკუთ-  
რებით ქალაქებისათვის (მტკვარს თბილისი-  
სათვის, რიონს ქუთაისისათვის და სხვ.),  
გარდა ამისა მდინარე ყვირილას იყენებენ  
ჭიათურის მარგანეცის გასარეცხად.

ასეთია მოკლედ საქართველოს მდინარეე-  
ბის ეკონომიური მნიშვნელობა სახალხო მე-  
ურნეობაში. მეოთხე სტალინურ ხუთწლედ-  
ში ელექტროსადგურების მშენებლობათა,  
ახალი არხების გაყვანისა და სხვა ღონისძიე-  
ბათა განხორციელებით საქართველოს მდი-  
ნარეთა ეკონომიური მნიშვნელობა ქიდებ  
უფრო გაიზრდება.





# კოტე მესხი „ხინჩერა“

მთგონება

ქველი ქართული თეატრის ცნობილ მსახიობს კოტე მესხს თეატრალური განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული. თავისი ცოდნას იგი ახალგაზრდა მსახიობებსაც უწერგავდა. მრავალი კარგი მსახიობი გაზარდა. ამას არ სჯერდებოდა: კარგი ღრამატურგიც იყო. მისი დაწერილია პიესები „შოთა რუსთაველი“, „ბაგრატ IV“, „თამარ ბატონიშვილი“, სთარგმნა სუმბათაშვილის „ლალატი“ და მრავალი სხვა.

კოტე ქუთაისის მუდმივი პროფესიული თეატრის დამფუძნებელი იყო და საერთოდ საზოგადოებრივ საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

შიუხედავად მუდმივი ნიკოლერი გაჭირვების, ყოველთვის მხიარული და მხნე იყო. ქუჩაში რომ შეგხვდებოდათ, გესიამოვნებოდათ: სუფთად და კონტად, ევროპულად ჩაცტული, ყოველთვის ახლად გაბარსული, გაზეობით და წიგნებით იღლიაში, მხიარულად მიესალმებოდა იგი ნაცნობებს და მეგობრებს.

დასცენება არ იცოდა და არ მახსოვს, რომ სააგარაკოდ წასულიყო. საღ მცალიანო, ახალ სეზონისთვის უნდა ვემზადო, ახალ პიესას გთარგმნიო და სხვ.

მაგრამ მის მხნე და მხიარულ ბუნებას ერთი გარემოება ჩრდილავდა: შეიძლი არ ჰყავდა, ბავშვები კი ძალიან უკარდა და ეს ამბავი ყოველთვის აწუხებდა. ქუჩაში დაინახავდა თუ არა ბავშვს, უცნობიც რომ ყოფილიყო, მაშინევ მივიდოდა, მიუალერსებდა, გაეთამაშებოდა. ნაცნობ ბავშვებიან ოჯახში მისვლისას, ჯერ ბავშვს მიესალმებოდა, გაესაუბრებოდა, შემდეგ კი მასპინძელს. კოტეს არა ერთხელ უთქვამს:

— პატარა ბიჭს რომ მომიგდებდეს ვინჩე, შვილივით გავზრდიდი.

\* \* \*


ერთხელ გარეკანეთის ერთი შორეული სოფლიდან თბილისში ერთი გლეხი ჩამოვიდა და თან პატარა ბიჭი ჩამოიყვანა. უნდოდა რომელიმე ხელოსნისათვის შეგირდად ძიებარებინა. მიაგნო ერთ დალაქს, რომელიც კოტეს მეზობლად ცხოვრობდა. დალაქს შეგირდი არ სჭირდებოდა და ამ გლეხს კოტეზე მიუთითა — ძალან კარგი ხალხია, შვილის მონატრული არიან, შენს ბიჭს ოჯახში გამოიყენებენ, შეინახავენ და გაზრდიანო.

გლეხი კოტესთან მივიდა და უთხრა:

— ეგრე მითხრეს, პატარა ბიჭი გვირდებათო ოჯახში სამსახურისათვის. გამოიყენეთ, იმსახურეთ. მარჯვე ბიჭია, მიმხვდომი, არ ინანებთ! ობოლია, დედა-მამა და ხოცა, ახლა ჩემთან არის. ბიძა ვარ მისი, მაგრამ ღამი ბიძი ვარ და ვერ შევინახავ. ჩვენ სიბნელეში ვცხოვრობთ, აქ განათლებულ ხალხში იქნება, თვალს გაახელს... ჰოდა... დაიტოვეთ, მაღლია... ოჯახის წვრილმანებში გამოგადგებათ!

კოტემ გაიღიმა, ბიჭს გადახედა და იცითხა:

- რამდენი წლისა?
- ათისა, ბატონო!
- ათისა? მე კი შვილისა ან ნაკლების მეგონა. რა პატარაა!
- ტანით მორჩილია, მარჯვე მარჯვეა, ცოცხალი, გამოგაღებათ.
- სახელი?
- ხინჩლა, ბატონო!
- ხინჩლა? ეს რა სახელია?
- რა მოგახსენოთ, შეტახებლად ეგრე ჰუძახით, ისე კი ქრისტეფორე... მღვდელმა ასე მონათლა.
- ქრისტეფორე? არა, ისევ ხინჩლა იყოს. აბა, ხინჩლა, შემომხედე!



ხინჩლა თავჩალუნული იდგა და პირქუშად იყურებოდა. ძალიან პატარა, მაგრამ მაგარა, კარგად ჩასკვნილი ტანისა იყო, შავგრემანი. ლამაზ და სწორ სახეზე, შავი სიცოცხლით სახსე თვალები ნაკვერჩხლებივთ უელვარებდა. მოკლე ახალუხი და შინაური ქსოვილის მოკლევე ჩოხა ეცვა, ფეხზე — ქალამნები. კეფაზე თუშტური ქუდი ეხურა.

კოტეს დაძახებაზე თავი ასწია და უნდობლად შეხედა, თითქოს ეკითხებოდა: — მტერი ხარ, თუ მოყვარეო?

— წარბი გახსენი, ბიჭო! გეშინია თუ რა არის?

— ვისი უნდა შემინდეს... — ბოხი ხმით უპასუხა ბიჭმა, ეტყობოდა, თავს არავის არ დააჩაგრინებდა.

კოტე ძალიან გულხმიერი აღამიანი იყო. უეატყო, რომ ხინჩლა უცხო ხალხში თავს ცუდად გრძნობდა, მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა, ლოყაზე მოუთათუნა და უთხრა:

— ვხელავ, კარგი ბიჭი ხარ. აქ კარგად იქნები, არავინ არ დაგჩაგრავს. აბა, გაიღი-მე! რაო, არ გინდა? კარგი, კარგი, არ შეგა-წუხებ!

კოტე ჩემსკენ მოიწია და ჩუმად, რუსულად მითხრა:

— შენ რას იტყვი, მიხეიოლ? დავიტოვო? საოჯახო საქმეებში გამოყენებაზე არ ვფიქ-

რობ. ისე კი ძალიან მომწონს. თვალებში ეტყობა, რომ ძალიან საინტერესო ხსიათის უნდა იყოს. სხვა ბავშვებს არა ჰგავს: მსახიობი ვარ და აღამიანის ბუნებრივი თვალებში შევატყობ ხოლმე. ი ნახავ, მალე შეგვეხვევა, მისი ხსიათი ყვავილივთ გაშლება და ჩვენს ოჯახს გამოაცოცხლებს. უნდა და-ვიტოვო. ხომ თანახმა ხარ, ნატო? — უთხრა თავის მეუღლეს და შემდეგ ხინჩლას მიუღ-რუნდა:

— დარჩები ჩვენთან?

— მა, ამოდენა გზა რისთვის გამოვიარე! ლავრჩები მაშ! — საქმიანი კილოთი უბასუსა ხინჩლამ, მაგრამ თვალები მაინც მგლის ლეკვივით უბზინავდა. საღილის შემდეგ ხინჩლას ბიძამ წასვლა დააბირა. კოტეს და ნატოს მადლობა გადაუხადა, ხინჩლას ხელი ხამოართვა.

— აბა, შენ იცი, ჭკუთ იყავი!

როცა ეზოში ჩაღიოდა, ხინჩლა არ ჩაყოლია, მხოლოდ ნამდვილი მეურნის მზრუნველობით მიაძიხა:

— ძია... თოხი ბოსტანში დამრჩა... შინ შეიტანე, წვიმამ არ დაეუანგოს... ლექსომ ხელი არ ახლოს, ძია...

ეს იყო და ეს. არც სალამი, არც მოქითხვა ვინმესთან, მაგრამ მის ხმაში რაღაც იდუმალი სეედა იყო ჩაქსოვილი. არ ვიცი რა იყო, მშობელ სოფელს მოშორებული პატარა ბიჭის ნალველი, თუ უცნობ ქალაქში კეთევების შიში?..

რამდენიმე დღე გავიდა. მე კოტეს შეზობლად უცხოვრობდი, მასთან ხშირად დავდიოდი და გვედავდი, რა აღერსიანად ელაპარაკებოდა კოტე მისთვის უცხო ბავშვს, რა მამობრივი და თან მეგობრული გრძნობა იყო მის სიტყვებში.

ერთხელ სიხარულით მითხრა: — ხინჩლა დვიჩვევა; — და სიცილით დაუმატა:

— მართლაც ნამდვილი ხინჩლაა: ყველა-ფერი აკვირებს, უნახავივით ყველაფერს ხელით სინჯავს, მაგრამ თავი ისე უჭირავს, თითქო ყველაფერი ნანახი აქვს. დავალებას ხალისით ასრულებს, მაგრამ ჯერჯერობით გულჩათხრობილია და მეტისმეტად ჩუმი. არ ვიცი, ჩვენი ერიდება, თუ ბუნებით ასეთია.

ორი კვირაც არ გასულა, რომ ხინჩლა კოტეს ოჯახს კარგად შეეჩვია, მაგრამ გარეთ, ქუჩაში ყველას ეჭვის თვალით უყურებდა, დარწმუნებული იყო, რომ ქალაქში ყველა მატყუარაა, თაღლითი და მის მიმართ მტრულად განწყობილი. უბნის ბიჭები, საწვრილ-მანი ღუჯნის პატრონი და მეფეურნე ეჯავ-რებორა. ფურნეში შევიდოდა თუ არა, დაიძახებდა:

— აბა ახალი ლავაში მოიტა! დაბრაწული, ძი კოტეს რომ უყვარს!.. ეე, არ მომატყუო აი! ვახ! მე რას გეუბნები, შენ რას მაძლევ! დაბრაწული-მეთქი, არ გესმის? ემნდ, თაროზე რომ დევს! ხომ, ესა!..

მიიღებდა თუ არა, მაშინვე მიახლიდა:

— აბა, ხურდა, მალე!

ხურდას ხინჩლა დიოხანს ჩნგარიშობდა, სინჯაფდა. კაპიტო რომ დაჟელებოდა, ერთ ამბავს ატეხდა:

— კაპიტო სად არის? მატყუებ?

მეფურნე ბუზოუნებდა:



— ვაა, რა ქვეყნიდან მოსულხარ, შვილო? ე კბილის მატლივით რომ გამიჩნდი, რა გინდა?

ბოლოს მეფურნე ყოველთვის კარგ პურს აურჩევდა და ხურდასაც სწორად აძლევდა.

(გაგრძელება იქნება).

ერთხელ სადილობისას ხინჩლამ პური მოიტანა, მაგიდაზე დადო და ჩუმად კუთხი-საკენ გაქერდა. შუბლზე მოზრდილი ლურჯი კოპი ჰქონდა. კოტე შეწუხდა და ჰქითხა:

— ეს რა მოგსულია, ბიჭო?

— რა უნდა მომსვლოდა?

— მაშ, ეს კოპი რაღაა?

— რის კოპი? არაფერიც არ არის! — და თავისი თუშური ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა.

— გცემეს, ბიჭო? ვინ გცემა, რისთვის?

ხინჩლა ხმას არ იღებდა.

— კარგია, ხინჩლა, კერბი ნუ ხარ, გვითხარი როგორ მოვივიდა?

ისევ ჩუმად იყო, მერე, დიდი ხვეწის შემდეგ გვიამბო:

კოლაც მოზრდილმა ბიჭმა თურმე პატარა ლარჯაბნა, აბაზიანი წაართვა და სცემდა. ხინჩლას გულმა ვერ მოუთმონა და ჩჩუბში ჩაერია. მოზრდილს აბაზიანი წაართვა და პატარას დაუბრუნა.

კოტეს თვალები გაუბრწყინდა, ახლოს მოიზიდა და, თუმცა ხინჩლას ალერსი ეჯავ-რებოდა, მოეხედა.

— ყოჩაო ბიჭო! ვაეყაცი ყოფილხარ! იმ დიდ ბიჭს როგორ გაუბედე ან როგორ მოერიე?

— ვახ, რა ვუყოთ, რომ დიდი იყო... პატარა დაჩაგრა და...

— ნატო, აბა ხინჩლას კოპზე მალამო წა-უსვიო...

— რის კოპი, რის მალამო, რას ჩამაცივ-დი, არაფერი არ მინდა!...

— მაშ ჩურჩხელა გამოუტანე.

როცა ჩურჩხელა გამოუტანეს, მაღლობა არ უთქვაშს, მხოლოდ იყითხა: ნიგვზიანია? დოქი აიღო და წყვლის ამოსატანად ეზოში ჩავიდა.

კოტე ლიტერატურაში და ცხოვრებაშიც გამბედაობას და გმირობას ეთაყვანებოდა. ხინჩლას გამბედაობამ მეტად გაახარა და აღფრთოვანებით ამბობდა:

— ჩვენი ხინჩლა ყვავილივით იშლება. ვერა ხედავთ, რა ფერებს იღებს?





## კ. ე. ციონდკოვსკი

სახელგანთქმული რუსი მეცნიერი და გამომგონებელი კონსტანტინე ელუარდის-ძე ციოლკოვსკი დაიბადა 1857 წლის 5 სექტემბერს სოფელ იუკესკში (ყოფილი რიაზანის გუბერნია), ტყისმცველის ოჯახში. სიღარიბის გამო შობლებმა შვილს ვერავითარი განათლება ვერ მისცეს. ათი წლის რომ გახდა, ციოლკოვსკი მძიმე ავადმყოფობით სამუდამოდ დაკარგა სმენა. ასეთი არასახარბელო იყო მისი ცხოვრების დასაწყისი, მაგრამ ნათელმა გონებამ და შეუცოვარმა მუშაობამ გზა გაუყაფეს, მას უდიდესი გამოგონებებისაკენ.

კ. ე. ციოლკოვსკის მეცნიერული კვლევის არე ტრანსპორტი იყო: პირველ ყველისა საპარაზო ტრანსპორტი — თვითმფრინავი და ჰირიუაბლი, შემდეგ — ატმოსფეროსიქითა ტრანსპორტი — რაკეტაზი ხომალებით საპლანეტო შორისო (კოსმიურ) სივრცეში ფრენა.

ამ დარგში ციოლკოვსკიმ ბევრად დასწრო დასავლეთის გამოჩენილ მეცნიერებსა და გამომგონებლებს. ამის დასადასტურებლად საკმარისია მოვიყავონთ შემდეგი ქრონოლოგიური ცნობები:

ცნობილია, რომ გერმანელმა ოფიციერმა გრაფ ფერდინანდ ცეპელინმა 1895 წელს წარუდგინა გერმანიის იმპერატორს თავისი საპარაზო ხომალდის (დირიებაბლის) პირველი პროექტი, ხოლო 1900 წელს დაამზადა პირველი დირიებაბლი „ცეპელინი“. ციოლკოვ-

სკიმ კი დირიებაბლის პირველი პროექტი ჯერ კიდევ 1890 წელს დაამუშავა; ე. ი. ხუთი წლით ადრე გრაფ ცეპელინის პროექტამდე და ათი წლით ადრე დირიებაბლ „ცეპელინის“ დამზადებამდე.

ცნობილია აგრეთვე, რომ ამერიკელ ასტროფიზიკოსის ლანგლეის აერობლანის პროექტი დამუშავებული იქნა 1896 წელს, ხოლო პირველი გაფრენა თვითმფრინავით 1903 წელს მოახდინეს ამერიკელებმა, ძმებმა რაიტებმა. ციოლკოვსკიმ კი თავისი ნაშრომი „აერობლანი ანუ ფრინველის მსგავსი (საკვიაციო) საფრენოსნო მანქანა“ უკვე 1895 წელს გამოაქვეყნა, ე. ი. ერთი წლით ადრე ლანგლეის პროექტამდე და რვა წლით ადრე რაიტების გაფრენამდე.

მიუხედავად ყველივე ამისა, მეფის რუსეთში ციოლკოვსკის ნაშრომები მიჩქმალული იყო. დასავლეთის მეცნიერებისა და ტექნიკის თაყვანის მცემელნი, ყოველივე უცხოურის წინაშე ქედმოხრილნი, ციოლკოვსკის ნიადაგამოცლილ მეოცნებელ სთვლილწენ და მეფის მთავრობა მას, რასაკვირველია, არავითარ მატერიალურ დახმარებას არ უწევდა. მართალია, ციოლკოვსკის დიორი ყურადღებით მოეპყრნენ სახელგანთქმული რუსი მეცნიერები — სტოლეტოვი, უჯუკესკი და მენდელევი, მაგრამ მათი დახმარება წვეთი იყო ზღვაში.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ღირსეულად იქნა დაფასებული ციოლკოვსკის მოღვაწეობა. „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ და ლენინ-სტალინის პარტიამ გამიშვის ქმედითი დახმარება. მევიგრძენი მშრომელთა მასების სიკარული და ეს მაძლევდა ძალ-ღონეს განმეორდო მუშაობა, მიუხედავად ავადმყოფობისა“, — სწერდა კ. ე. ციოლკოვსკი დიდ სტალინს.

მთელი თავისი სიცოცხლე ციოლკოვსკიმ ავიაციის საქმის განვითარებას შესწირა.

„მიმისიერისათვის ყველაზე ხელსაყრელი საპარაზო გზაა. იგი ყველაზე მოკლეა, არ იყინება, არ საჭიროებს შეკეთებას, ყველაზე უხილვათოა, მისი გამოყენება შეიძლება ხმელეთსა და ზღვაზე“, — ასე ახასიათებს ციოლკოვსკი საპარაზო მიმოსვლის უპირატესობას ტრანსპორტის სხვა სახეობასთან შედარებით. ჰაერში მოძრაობა ორგვარად შეიძლება — თვითმფრინავით და დირიებაბლით. რომელს აქვს უპირატესობა? სამხედრო მიზნებისათვის, ცხადია, უპირატესობა თვითმფრინავს მიეკუთვნება. — ის უფრო დიდ სისტრატეს ავითარებს, მისი აგება გაცილებით იაფი ჯდება და ბრძოლაში უფრო მოხერხებულია, მაგრამ მშვიდობისანი ცხოვ-

რებისათვის დირიქტორს ტრანსპორტის კერცერთი სახეობა კერ შეეღრება. და ამ ციოლკოვსკი სწორედ ამიტომ ანიჭებდა დირიქტორის უპირატესობას. მისი პროექტი მთლიანლითონიანი დირიქტორისა, ე. ი. ისეთი დირიქტორის, რომლის გარსი მთლიანად ლითონისაგან (ქრომოვანი ფოლადისაგან) შესდგება, საყოველთაოდ ცნობილია და თავისი კონსტრუქციით გაცილებით უკეთესია, მაგალითად, ამერიკის ლითონის დირიქტორზე. ციოლკოვსკის დირიქტორის გარსი ტალღისებურია, რის გამო მოცულობას ის აღვილად იცვლის და ამწევ ძალას მუდმივს ძნარჩუნებს; ამას კი ამერიკული დირიქტორი მოკლებულია.

მაგრამ ციოლკოვსკის ყველაზე შესანიშნავი და პირდაპირ განსაცვითრებელი გამოგონება სარაკეტო ტექნიკას შეეხება. მან ამ დარგშიც ბევრად დაასწრო დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მეცნიერებს.

„რაკეტი“ იტალიური სიტყვაა და ნიშნავს მასრას, პატარა მილს; რაკეტი ეს არის თოფისტამით დატენილი მასრა. ციოლკოვსკიმ თავისი მიზნებისათვის რაკეტში თოფისტამალი — ეს მეტად ხიფათიანი საწვავი — სხვა საწვავით შეცვალა. თავის ნაშრომში „ახალი აეროპლანი“, რომელიც მან 1929 წელს გამოაქვეყნა, იგი აგვიშერს რაკეტოპლანს, ე. ი. თვითმფრინავს, რომლის სარაკეტო ძრავა მუშაობს თხევადი საწვავით — სპროტით, ბენზინით, ნავთით ან გათხევადებული წყალბადით, რომელიც სპეციალურ კამერაში უერთდება გათხევადებულ უანგბაცს.

რაკეტიანი თვითმფრინავის იდეა ახლა ჩეენს ქვეყანაში დართო მასშტაბითაა განხორციელებული. წელს, აგვისტოში, საპარაზო ფლოოტის დღეს სავიაციო დღესასწაულზე ტუშინოში მოსკოველები აღტაცებით ადგვნებდნენ თვალს საბჭოთა კონსტრუქტორებისა და ინჟინერების მიერ საბჭოთა ქარხნებში, საბჭოთა მასალებისაგან აგებულ რაკეტიანი თვითმფრინავების ფრენს.

ციოლკოვსკის რაკეტფრენის იდეები განხორციელებულ იქნა დიდი სამამულო ომის დროს სარაკეტო არტილერიის სახით. საბჭოთა გვარდიული ნაღმსატყორცნები, სახელმძღვანელო კატიუშები“, რომელიც თავზარს სკემიზენ გერმანელებს, რაკეტულ (რეაქტიულ) დანადგარებს წარმოადგენდნინ.

გარდა სამხედრო საქმისა, რაკეტი მომავალში ფართო გამოყენებას ჰქოვებს სახალხო მეურნეობაში. მისი საშუალებით შესაძლებელი გახდება შესწავლა იმ ფიზიკური მოვლენებისა, რომელიც ატმოსფეროს უმაღლეს, მიუწვდომელ ფენებში ხდება.

მაგრამ ციოლკოვსკი უფრო შორს იყურე-

ბოდა, მისი მოხვილი და დაუცხრომელი გონება გაბედულად სჭირებული რაკეტის გამოყენების დიად მომავალს მოელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. რაკეტი მას უსხებობრივ როგორც ატმოსფეროსიქითა ტრანსპორტი, როგორც საპლანეტოაშორისო (კოსმიურ) საკრცეში მიმოსვლის საუკეთესო საშუალება.

სახელგანთქმულ ფრანგ მწერალს უიულ ვერნს ერთ-ერთ მოთხოვნაში აღწერილი აქვს მოვარეზე ფანტასტიკური გაფრენა უზარმაზარი ზარბაზნის უყმბარის საშუალებით. მაგრამ ეს განუხორციელებელი ოცნება იყო, რადგან უყმბარის კიდევაც რომ მიეღწია მთვარემდე, მასში ერთი აღამიანიც არ დარჩებოდა ცოცხალი. დედამიწას რომ მოსწყდეს და მოვარეს მიაღწიოს, უყმბარამ იძოვითვე, პირველ სეკუნდშივე, უდიდესი სიჩქარე უნდა განავითაროს — სახელდობრ, 11° კილომეტრი სეკუნდში. მაგრამ ასეთივე სიჩქარე ხომ ციოლკოვსკის რაკეტიანმა (რეაქტიულმა) ხომალდმაც უნდა განავითაროს? განსხვავება აქ სიჩქარის სიდიდეში კი არ არის, არამედ იმაში, თუ როგორ მიიღება ეს სიჩქარე. თავისთავად დიდი სიჩქარე არაა საშემში აღამიანისათვის; ჩვენ არც კი ვგრძენობთ ხოლმე მას, რაგინდ დიდი იყოს იგი; საშიშია მხოლოდ უძრაობიდან სწრაფად, ერთბაშად მომრაობაში გადასცვლა, რაც მძლავრ შენჯლრევას იწვევს. უყმბარა უდიდეს სიჩქარეს თითქმის ერთბაშად მიიღებს, რასაც ვერც ერთი სულდგმული ვერ გაუძლებს, რაკეტიანი ხომალდი კი, პირველით, სიჩქარეს თანადათან განავითარებს.

ასეთი ხომალდით, რომლის მართვა და მიძრაობა შეიძლება უპარერ სიერცეში აღამიანი მომვალში გასწევს სამყაროს შორცული სივრცეებისაკენ, ახალ-ახალი მზეების სისტემებისაკენ. „გაივლის, აღბათ, — ამბობს ციოლკოვსკი, — ასეული წლები, ვიღრე ჩემი იდეები ხორცს შეისხამენ და აღამიანი ისარგებლებს რეაქტიული ხომალდებით, რათა მოსხლეობა მოეფინოს... ჟოლს სამყაროს.

კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, უნდა ვიფიქროთ, არასოდეს არ დაიღუპება. იყო ერთი მზის სისტემიდან, რომელიც დაიწყებს ჩაქრობას, გადასახლდება შეორე მზის სისტემაში. მრავალი დეცილიონი წლის შემდეგ აღამიანებმა შეიძლება იცხოვრონ იმ მზესთან, რომელიც ჯერ არ ანთებულა და არსებობს ხოლოდ ჩანასახში, ნისლოვანი მატერიალის სახით...

მაშასაღამე, არა აქვს დასასრული სიცოცლეს, გონებას, კაცობრიობის წინსვლას. მისი პროგრესი მარადიულია...

გაბედულად გასწით წინ, დედამიწის დი-

დო თუ პატარა მშრომელნო. იცოდეთ, რომ თქვენი შრომის არც ერთი ნამტები არ გაქრება უკვალოდ, არამედ მოიტანს უსასრულობაში დიად ნაყოფს".

ასეთი აღფრითოვანებით ლაპარაკობს ციოლქოვსკი კაცობრიობის მომავალზე, მის მარადიულობაზე, აღამიანის შრომითს სიხარულზე და თავისი რაკეტფრენის უდიდეს როლზე კაცობრიობის წინსვლაში.

ციოლქოვსკიმ პირველმა დაამუშავა რაკეტფრენის ეს ბრწყინვალე თეორია და პირველმა მათემატიკურად დაადგინა „რაკეტის განტოლება“, რომელიც ასახავს რეაქტიული ძრაობის სამი სიდიდის — რაკეტის სიჩქარის, საჭვავის რაოდენობისა და გამომუშავებული აირების ჭავლის სიჩქარის ურთიერთ დამოკიდებულებას.

ციოლქოვსკიმ ამავე დროს დაამტკიცა, რომ კოსმიურ სიგრცეში საფრენად სწრავი უდიდესი რაოდენობითაა საჭირო და ამისათვის წამოაყენა ახალი იდეა შემაღენელი რაკეტის შესახებ. ეს მისი შესანიშნავი იდეა შემდეგში მოელმა რიგმა მკვლევარებმა — ამერიკაში მცცინერმა პოლარმა და გერმანიაში ფიზიკის პროფესორმა ჰერმან ობერტ-

მა — საფუძვლად დაუდეს თავიანთ გამოქვლევებს რეაქტიული ძრაობის დაწევში.

სამშობლოს ერთგული შვილიდაუნგარუმსახური კ. ე. ციოლქოვსკი მუდავ ამაყობდა თავისი ხალხით, მისი ნიჭით, მისი უდიდესი შემოქმედებითი უნირით, რასაც ფართო გზა გაეხსნა და გასაქანი მიეცა მხოლოდ ლენინ-სტალინის ეპოქაში. ციოლქოვსკის საბჭოთა ქვეყნის აღამიანები კაცობრიობის წინსვლის ნამდვილ დამცველებად და მესვეურებად მიაჩნდა.

კ. ე. ციოლქოვსკი გარდაიცვალა 1935 წლის 19 სექტემბერს. იგი სამარეში ჩაფიდა იმ რწმენით, რომ საბჭოთა ახალგაზრდები, ნორჩი ავიამოდელისტები, ნორჩი პლანერისტები, რომლებიც ათეული ათასობით არიან ჩვენს ქვეყანაში, სულს ჩაუდგამენ, ხორცის შეასხამენ და წარმატებით დაასრულებენ მის იდეებს.

„მათზე ვამყარებ მე, — ამბობდა ციოლქოვსკი, — ყველაზე გაბეღულ იმედებს. ისინი ხელს შეუწყობენ ჩემი გამოგონების განხორციელებას და მოამზადებენ პირველი კოსმიური ხომალდის მშენებლებს".

**შ. გვირჩივი**

## შინაარსი

1. გრიშაშვილი — ხელი (ლექსი)	1
2. ნემსაძე — პიონერული რეოლის მუშაობა	2
3. კუმბურიძე — რთველი (ლექსი)	4
4. ჩხეიძე — მოვიდნენ (მოთხოვნა)	5
5. ვალბოლისი — ალექსანდრე ბაგრატიონი (წერილი)	8
6. კაჭახიძე — სტენ სიმინდს (ლექსი)	9
7. შატერაშვილი — უწმინდი კაცი (მოთხოვნა)	10
8. სევანი (ნარკვევი)	12
9. ჭელიძე — თერეთა (პოემა)	14
10. ნორჩ ავტორთა შემოქმედება	16-17

11. ლენინეგრატალინტრი კომუნიშტი — სისტემიზირის სამსჯელო-საზრდოა ფლოტის შეფი 18
12. ნაკაშიძე — მეცე და მბეჭდვივი (მოთხოვნა) 19
13. ზარდალიშვილი — საქართველოს მდინარეების ხალხის სამსახურიში (წერილი) 24
14. ქორელი — კორე მესხი და მისი „ხინჩალა“ (მოგონება) 27
15. გვირჩიძე — კ. ე. ციოლქოვსკი (რესატერინი) 30
16. გასართობი გარემანის მე-3 გვ.
17. ნორჩ მსატყართა შემოქმედება გარეუანის მე-4 გვ.

გარეუანზე მხატვარ შ. ცხადაძის ნახატი „როველი“.

## პასუხისმგებელი რედაქტორი გ. კაჭახიძე

სარედაქციო კოლეგია: 1. აბაშიძე, აკად. 2. ბერძენიშვილი, 3. გვირჩიძე (პ/მგ. მდივანი), 4. გარდიაშვილი, პროფ. 5. თავშიშვილი, 6. კეცხოველი, 7. მეტრეველი, 8. ნაკაშიძე.


# სასურათო გვერდი



ა მ ღ ა ნ ა ნ ა

ისეი შოსტის

(ქ. ცხაკაძას ვაჟთა I საშუალო სკოლის  
მოსმაფლე)



თეორები: მფა2, ლc7, ეe4, ქd2, ქe8, ზe7.  
შავები: მფა4, ლb4, ეh4, ეh7, მa1, 3.3.a5,  
b5, b6, e6.

შავათი ღრ სვლაში.

გ ა მ ღ ა ნ ა ნ ა

1

შემოდგომას თვალი არის,  
ვენახებში ჩამოსურებს,  
სოფელს ყურძნის მოსაკრეფად  
გულს სამორ აუძგერებს,  
აკიდებს აჭრის ვაზებს,  
ტებილი მაჭრით ავსებს ქვევრებს.

2

მთა და ბარში დახმაურობს,  
აჭრიალებს ფიცრულ სახლებს,  
გულფიცხია, არ ისვენებს,  
ჭირვეულად ხვებს არხევს,  
თუ გაძრაზდა, გაჯიუტდა,  
ტანზე ფოთლებს შემოახევს...  
ყველგან შფოთავს, მაგრამ ვერსად  
ვერ შეხედებით იმის მნახველს.

3

გვალვის დროს ნატვრით ელიან  
შრვანე ყანების მხსნელად;  
ისიც ხან მოდის გრუნტუნით,  
ხან კი მშვიდად და ნელა;  
მოვა და მასთან შეხვედრას  
უმალ გაურბის ყველა.

4

მუდამ ძილის დროს გვეწვევა,  
გაგვიძრწყინებს დალლილ თვალებს,  
გვძინავს, მაინც მზეს უუყურებთ,  
გვძინავს, მაინც ვუმჩერთ მთვარეს;  
შეგვახვედრებს უცნობს, ნაცნობს,  
ხან გვაშინებს, ხან გვახარებს;  
გავიღვიერებთ... გვეზალება,  
გახურავს უხმოდ კარებს.


გორის გეთაშელი

3. 10/3, 1886.


ფასი 5 ბაზ.



ნორჩ მხატვართა შემოქმედება



სოფელი იყალთო. ნახატი მოსწავლე ჯუანშერ ვასაძისა.



სახლი. ნახატი მოსწავლე ჯუანშერ ვასაძისა.